# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


სამშაბათი, 9 ოქტომბერი, 2007 წელი.

№ 194 (5795)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


◉ სენსაცია



# ირაკლი ოქრუაშვილის სკანდალური აღიარება

## გაუგებარია, ვისი ვიოლინო, ვის როიალშია?

ირაკლი ოქრუაშვილის გუშინდელმა სკანდალურმა აღიარებამ, რომ მის მიერ პრეზიდენტის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება, თითქოს მან თავის დროზე შეუკვეთა ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მოკვლა, რომ თავის დროზე ქრთამის (200 ათასი დოლარისძ აღების ფაქტზე დააკავა პრეზიდენტის ბიძა თემურ ალასანია და შემდეგ პრეზიდენტის მოთხოვნით გაათავისუფლა, რომ პრეზიდენტი და მისი ოჯახი კორუფციაშია გახვეული, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია მკვდარი მიიტანეს გვამის აღმოჩენის ადგილზე და ა.შ.ყოვლად უსაფუძვლოაო, შოკი მოჰგვარა არა მხოლოდ ოპოზიციას, არამედ მთელ საზოგადოებას. ტელევიზიით გავრცელებული ამ აღიარებითი ჩვენების შემდეგ უამრავი კითხვა დაიბადა – რა მოხდა სინამდვილეში, ზოგიერთისთვის გმირის მანტიით შემოსილმა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა რატომ უარყო დაპატიმრებამდე გაკეთებული თითქმის ყველა განცხადება? აშკარა იყო, რომ ჩვენ ვუყურებდით სულ სხვა ადამიანს, გაჩნდა ეჭვი, რომ საზოგადოება ხელისუფლების მიერ დადგმული მორიგი სპექტაკლის მომსწრე გახდა.

აღიარებით ჩვენებას არ ესწრებოდა ადვოკატი ეკა ბესელია. ის ვითარებაში გასარკვევად ირაკლი ოქრუაშვილთან შეხვედრას მოითხოვდა, მაგრამ ამის უფლება არ მისცეს.

ეკა ბესელიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მას დაუკავშირდა ირაკლი ოქრუაშვილის დედა, ადამიანი, რომელიც ტელევიზიით აღიარებით ჩვენებას იძლეოდა, ჩემი შვილი არ იყოო. „იმდენად შეცვლილი იყო, ვერ ვიცანი“, – უთქვამს მისთვის ჟანა ოქრუაშვილს.

2

# როცა ასეთი სიძულვილია...

3

*ხალხი ძალიან ბევრს რასმეს მოელოდა ამ სხდომისგან და არა „მოწყალებას“. უწინარესად კი მოელოდა დიდ სიმართლეს, რომელ სიმართლესაც აგრერიგად უჭირს დღეს დამოუკიდებელ, თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოში.*

## ანუ მოსალოდნელია თუ არა „თეთრი“ რევოლუცია და როდის გვაგონდება ხოლმე რომელიმე ძველი იგავი



*საქართველოში ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ქვეყნისათვის ძალიან სამწუხარო ფაქტი: კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ხალხი და ხელისუფლება ძალიან დაშორდნენ ერთმანეთს*

5

# ის, რაც იუპიტერს ეპატიება, ხარს არ ეპატიება

# PREVENTIO – ანუ, ვიდეო-თვალი (კამერა) ცოლ-ქმრის საძინებელ ოთახში?..



*საოჯახო კონფლიქტებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ათეულობით მუხლი არეგულირებს, მაგრამ სამწუხაროდ, კანონის მოთხოვნებს დასაქორწინებელი წყვილები არ იცავენ*

6

● ქვეყნის მართვის ნებისმიერი მოდელი მისაღებია, თუ ხალხი, მთელი საზოგადოება სახელმწიფოებრივად აზროვნებს და საკუთარი მომავლის კონცეფცია, გნებავთ, იდეოლოგია აქვს

№ 194. სამშაბათი, 9 ოქტომბერი, 2007 წელი.

სენსაცია

# ირაკლი ოქრუაშვილის სკანდალური აღიარება

(პირველი გვერდიდან)

ეკა ბესელიამ განმარტა — ირაკლი ოქრუაშვილის ჩვენება ზემოქმედების ქვეშ მიაცემინეს. ზემოქმედებაზე ლაპარაკობენ ირაკლი ოქრუაშვილის მეგობრები. თეო ტლაშაძემ განაცხადა, რომ მან ირაკლი ოქრუაშვილი ვერ იცნო.

მართლაც, წარმოუდგენელი და თითქმის კომიკურია, რომ ირაკლი ოქრუაშვილმა გადაცემა „ღია ეთერში“ ხელისუფლების მისამართით გამოთქმული ყველა ბრალდება უარყო და თან დასძინა, ის განცხადებები პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად და პრეზიდენტ სააკაშვილის დისკრედიტაციისთვის გააკეთეო.

გენერალური პროკურორის მოადგილემ ნიკა გვარამიამ საგანგებო ბრიფინგზე განცხადა, რომ ოქრუაშვილმა გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა და დაკითხვისას ნაწილობრივ აღიარა ბრალდებები. „მან სრულად აღიარა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღება გამოძალვით. ეს არის ჯემალ სვანიძის კუთვნილი წილი შპს „ჯეოსელში“, რომელიც შეძენილი იქნა 250 ათას დოლარად, ნომინალურ ღირებულებად. სინამდვილეში კი მისი ღირებულება 10 მილიონ ამერიკულ დოლარს აღემატება“.

ნიკა გვარამიას თქმით, ოქრუაშვილმა სამსახურებრივ გულგრილობაშიც დამნაშავედ ცნო თავი, გენერალური პროკურორის მოადგილემ, აგრეთვე, განაცხადა, რომ საქართველოს ყოფილ თავდაცვის მინისტრს გირაოთი გაათავისუფლებენ, რომ გირაოს ოდენობა ქართული მართლმსაჯულებისთვის უპრეცედენტოა — 10 მილიონი ლარი.

ოქრუაშვილის აღიარებითი ჩვენება ოპოზიციისთვის მეხის დაკვრის მსგავსი მოულოდნელობა იყო.

დეპუტატი ზვიად ძიძიგური ფიქრობს, რომ პატიმრებზე, ციხეში საშინელი ზემოქმედებაა, რასაც ირაკლი ოქრუაშვილმა, სამწუხაროდ, ვერ გაუძლო: „მაგრამ, უწინარესად, ამ ქვეყნის მოქალაქეებს მინდა ვუთხრა, რომ 28 სექტემბრის საპროტესტო აქცია ირაკლი ოქრუაშვილის ირგვლივ არ შეკრებილა. ის საპროტესტო აქცია იყო იმ ძალადობის წინააღმდეგ, რაც ქვეყანაში ყველა სფეროში ხდება“!

საპარლამენტო ოპოზიციის აზრით, უნდა გაგრძელდეს საზოგადოების ბრძოლა უსამართლობისა და ხელისუფლების იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რაც ყველას ეხებოდა, ეს ბრძოლა არასდროს ყოფილა იმისთვის, რომ ირაკლი ოქრუაშვილი



ქვეყნის ლიდერი და ბელადი გამხდარიყო.

„ეს ხელისუფლება პოლიტიკური პატიმრების წინააღმდეგ გაურკვეველი ტიპის ზემოქმედებას მიმართავს და იგი თავისი ბუნებით ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების წინააღმდეგ გამოდის. ამიტომ მტკიცება არ უნდა, ეს ხელისუფლება უნდა შეიცვალოს“, — განაცხადა კონსერვატორმა დეპუტატმა კახა კუკავამ.

„გმირები ასე არ გამოიყურებიან“, — აცხადებენ უმრავლესობის წევრები: ნინო კალანდაძე, ვახტანგ ბალავაძე, ლევან ბეჟაშვილი. ისინი გამორიცხავენ ირაკლი ოქრუაშვილზე რაიმე ზემოქმედებას, გამოძიების არგუმენტები საკმაოდ მყარი და საფუძვლიანი იყოო.

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ირაკლი ოქრუაშვილს ყველა შანსი ჰქონდა, თუნდაც ერთი არგუმენტი ეთქვა, თუმცა მან ეს ვერ შეძლო.

პოლიტოლოგმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა თავდაცვის ყოფილი მინისტრის აღიარება ზვიად გამსახურდიას აღიარებას შეადარა, „მაშინ საზოგადოებამ ჩათვალა, რომ გამსახურდიაზე ზეწოლა მოახდინეს. იგი მხოლოდ ამის შემდეგ აღიარეს“.

ბატონმა ჰამლეტმა ოქრუაშვილის აღიარება სპექტაკლს შეადარა, რაც ოქრუაშვილმა თქვა, გარეგნულად „კარგად ვერ გამოიყურებოდა“-ო.

„ყველა კითხვაზე ისეთი პასუხი იყო, როგორიც ხელისუფლებას ხელს აძლევდა. ეს მომავალშიც უამრავ კითხვას დაბადებს. ოქრუაშვილის ყველა განცხადება პასუხგაუცემელია“, — თქვა ჰამლეტ ჭიპაშვილმა.

პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა გვითხრა: „უამრავი ფილმი მინახავს — სათავგადასავლო, კომედიური, სექსუალური, მაგრამ — მსგავსი არაფერი. ვერ გავიგე, რომელი მხარეა დამნაშავე, ვერც მხარეთა თამაში გავიგე, ვერც თამაშის შინაარსობრივი დატვირთვა. ვერ გავიგე — ვისი ვიოლინო ვის როიალშია?

ხალხს აგიჟებენ, იცით, რომელ ხალხს? აი, იმ ხალხს, იმ ბრბოს, რომელზეც დიდმა ილიამ ბრძანა — „ყველა ყრუი, ყველა ცრუიო“.

ვაი, ქართველო, უი საქართველო! ერთსაც ვიტყვი, ოქრუაშვილს რამდენი მილიონიც არ უნდა გადაახდევინონ, გვარი მაინც მდიდრული დარჩება. „ოქრუაშვილი“, ოქრო, ოქრო, მთავარია ოქრო“.

დაბოლოს, კოკა გუნცაძემ, ეკა ბესელიამ და გია თორთლაძემ მოძრაობა „ერთიანი საქართველოსთვის“ ოფისში განაცხადეს, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ახალაიას სარდაფში, სადაც პატიმრებს აწამებენ, აიძულეს მიეცა ის ჩვენება, რაც თავად დაუწერეს, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ბოლო დრომდე მხნედ და საბრძოლო განწყობაზე იყო და დაუჯერებელია, კვირას უარი ეთქვა ყველაფერზე, მათ შორის თავის ადვოკატზეც.

მათ საზოგადოებრიობას მიმართეს, ბოლომდე იბრძოლონ და გაათამაგებული ენერგიით მივიდნენ 2 ნოემბრის მიტინგზე.

**თამარ შაიშმელაშვილი**



მოულოდნელი რაკურსით

# ვინ გახდება „ბედნიერი ერის“ ხელმწიფე?

> ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?
> ილია ჭავჭავაძე

**საქართველოს მომავალზე დღემუდამ მლოცველი, ქართული ეკლესიის დიდად დამაშვრალი საჭეთმპყრობელი, მისი უწმინდესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე საკუთარი ამბიონიდან 30 წლის თავზე ფრიად ორიგინალური წინადადებით წარსდგა ქვეყნის მოსახლეობის — ერისა და ბერის წინაშე და ბრძანა: კარგი იქნება თუ საქართველო ბაგრატოვანთა დინასტიის აღორძინების გზას დაადგება და კონსტიტუციური მოწყობის მანტიას მოისხამსო.**

როგორც უნდა მიუდგე საქმეს, პატრიარქის ეს წინადადება ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს ღლევანდელი ოპოზიციის მოწოდებას: **საქართველო — უპრეზიდენტოდ!**

თუმცაღა, თავის მხრივ, ოპოზიციას არაფერი უთქვამს ბაგრატოვანთა დინასტიის აღდგენის თაობაზე. მათი მისწრაფება და სურვილი უფრო საპარლამენტო რესპუბლიკისკენ იხრება.

თანამედროვე მსოფლიოში, მოგეხსენებათ, სრული პოლიტიკური აჯაფსანდალია — ზოგან საპრეზიდენტო ხელისუფლება მბრძანებლობს, ზოგან — მონარქისტული, ზოგან კონსტიტუციური მონარქია, ზოგანაც — საპარლამენტო, — პრემიერ-მინისტრის ძლიერი ინსტიტუტით... **მთავარია ხალხის სიფხიზლე და გონიერება, რადგანაც ნებისმიერ ქვეყანაში ისეთი ხელისუფალი ჰყავთ, რასაც ხალხი იმსახურებს.**



**ქვეყნის მართვის ნებისმიერი მოდელი მისაღებია, თუ ხალხი, მთელი საზოგადოება სახელმწიფოებრივად აზროვნებს და საკუთარი მომავლის კონცეფცია, გნებავთ, იდეოლოგია აქვს.**

მაინც, რას ფიქრობენ თბილისელები პატრიარქის წინადადებაზე?

**კოტე ჩოლოყაშვილი, თბილისის საკრებულოს უხუცესი წევრი, უძველესი თავადური გვარის წარმომადგენელი:** პატრიარქის იდეა ფრიად ყურადსაღებია. კონსტიტუციური მონარქიის აღდგენა არცთუ ისე შორეული მომავლის საქმეა, ოღონდაც, ბაგრატოვანთა ნამდვილი მემკვიდრე უნდა „აღმოვაჩინოთ“ და ისე აღვზარდოთ, როგორც სულხან-საბა ორბელიანი გვასწავლის. უფლისწულის აღზრდა ურთულესი საქმეა...

**ალექსანდრე მაღლაფერიძე, ისტორიკოსი, პუბლიცისტი:** პატრიარქის იდეა, რა თქმა უნდა, ფრიად საყურადღებოა, მაგრამ... კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის იდეა, ჯერჯერობით, განუხორციელებლად მეჩვენება.



ჩვენ ორი საუკუნის წინათ დავკარგეთ მეფის ინსტიტუტი და „საძოვარზე მიშვებული ქართველი ხალხი“ გადაეჩვია მას. ჩვენი ერის მონარქისკენ შემობრუნება ძალიან მძიმე იქნება. თავს ნუ მოვიტყუებთ...

**გურამ ნამგალაძე, პოლიტოლოგი, მთარგმნელი:** ამ პრობლემას სერიოზული დაფიქრება სჭირდება. არც მთლად ისეა საქმე, როგორც კონსტიტუციური მონარქიის მომხრეები გვარწმუნებენ... ყველა დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე და ერეკლე მეორე ვერ იქნება... საკმარისია 30 წლის შემდეგ (!) სამეფო ტახტზე დაბრძანებული ყმაწვილი უსუსური გამოდგეს („მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამ არ უშველაძ), საწყალი ხალხი კიდევ ერთხელ ჩაიქნევს ხელს... ვიფიქროთ, ვიფიქროთ, ხალხს შევეკითხოთ, საყოველთაო რეფერენდუმში მოვაწყოთ...

მართლაცდა, ყველაზე უპრიანი საყოველთაო რეფერენდუმის მოწყობა იქნება!

**სპარტაკ ქოგულია**

კომენტარი

# მეფე არ მართავს, მეფე მეფობს!

**კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე მიიჩნევს, რომ საპარლამენტო რესპუბლიკასა და კონსტიტუციურ მონარქიას შორის დიდი სხვაობა არ არსებობს.**

როგორც ხმალაძემ აღნიშნა, ამ ორ მოდელს შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ საპარლამენტო რესპუბლიკის დროს, პრეზიდენტის გარკვეული დროით არჩევა ხდება, რომელსაც უფლებები კონსტიტუციურად მაქსიმალურად შეზღუდული აქვს. კონსტიტუციური მონარქიის შემთხვევაში კი მონარქი უვადოდ მეფობს და სტატუსი მემკვიდრეობით გადაეცემა.

ხმალაძის ინფორმაციით, კონსტიტუციურ მონარქიასთან დაკავშირებით ფორმულაც კი არსებობს — „მეფე არ მართავს, მეფე მეფობს“.

მისივე თქმით, კონსტიტუციური მონარქიის დემოკრატიულ ქვეყნებში მეფეს უფრო წარმომადგენლობითი სახე აქვს და იგი არც კანონის შექმნაში და არც აღსრულებაში არ მონაწილეობს. მონარქს ამ მხრივ უფლებები მინიმალურამდე შეზღუდული აქვს.

ამასთან, ხმალაძე აცხადებს, რომ კონსტიტუციური მონარქიის შემოღება საქართველოსთვის საკმაოდ მძიმე გადაწყვეტილება იქნება, რადგან ქვეყანაში მონარქია ორ საუკუნეზე მეტია, აღარ არსებობს.

შესაბამისად, ხმალაძის აზრით, ურთულესი ამოცანა იქნება ნამდვილი ბაგრატიონი მონარქის მოძიება.

ხმალაძე აღნიშნავს, რომ მან პატრიარქის სიტყვებში ერთპიროვნული მმართველობის წინააღმდეგ აზრი ამოიკითხა.

**ინტერპრესნიუსი**

# აღმდგარი ქვეყანა

**ხალხი ძალიან ბევრს რასმეს მოელოდა ამ სხდომისაგან და არა „მოწყალებას“. უწინარესად კი მოელოდა დიდ სიმართლეს, რომელ სიმართლესაც რატომღაც აგრერიგად უჭირს დღეს დამოუკიდებელ, თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოში**



## ჭირი დანახული ჯობს

ზოგიერთმა რამდენიც არ უნდა ამტკიცოს, არაო, ყველანი აშკარად ვხედავთ, რა მამალი ავტორიტარიზმისა თუ ბონაპარტისტული რეჟიმის პირობებშიც გვიხდება ცხოვრება. გვინდა თუ არ გვინდა, უფრო სწორად, ხალხს უნდა თუ არ უნდა, ამ ერთ კაცს უნდა და იქნებ ხან ახერხებს კიდეც, რომ ჩვენს ქვეყანაში ყოველივე ჩურჩხელებივით ამ ერთი კაცის აზრის ძაფზე იყოს ასხმული... თანაც დემოკრატიის თათარაში ამოვლებულ ძაფზე... რახან ქვეყანაში ბოლოს და ბოლოს ბევრი რამის თვალსაზრისით მშიერი შემოდგომა შემოდგა, როგორც ჩანს, შედარებებსაც შესაბამისს ითხოვს...

რაც შეეხება უშუალოდ ავტორიტარიზმს, რასაკვირველია, ბევრს კარგად მოეხსენება, მაგრამ ლექსიკონურ განმარტებას მაინც მოვიშველიებ და დაგულისყურებულ მკითხველს შევახსენებ: ავტორიტარიზმი არის ძალაუფლების სისტემა, დამახასიათებელი ანტიდემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმებისათვის და, ჩვეულებრივ, შეთავსებულია პირად დიქტატურასთან, რის ცხადი მაგალითებია აზიატური დესპოტიები, არქაული, შუასაუკუნოვანი და ახალი დროის ტირანული და აბსოლუტური მმართველობის ფორმები, სამხედრო, პოლიციური და ფაშისტური რეჟიმები, ტოტალიტარიზმის სხვადასხვა ვარიანტი. ხოლო ტოტალიტარიზმი რაც არის, ამის განმარტებას ნუღარ დამაწყებინებთ, რადგან თავად ვართ უშუალო მოწმენი ხელისუფლების მხრიდან ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე აბსოლუტური კონტროლისა და კონსტიტუციური უფლებებისა თუ თავისუფლებების შეზღუდვისა... თუ ეს ასე არ არის, მაშინ რატომ არავინ განგვიმარტა, რა იყო წლეულს, 10 აგვისტოს, გამომცემლობა „სამშობლოდან“ ათობით რედაქციის გაუფრთხილებლად ქუჩაში გამოყრა?! რა სახელი უნდა ეწოდოს პრესის მიმართ ასეთ აგდებულ, ასეთ „ამჩემსფეხება“ დამოკიდებულებას, თუნდაც მსოფლიოში „ყველაზე სუსტი“ ქართველი მწერლების დარბევას ანდა საკუთარი ცამეტსართულიანი „არამდგრადი“ სახლიდან მოქალაქეთა გამოსახლებას?!

ადამიანები ამჟამინდელ საქართველოში სიმდიდრე-სილარიბის გარდა, ღირსების მიხედვითაც ორად არიან დაყოფილნი — ღირსებაშელახულებად და ღირსების შემლახველებად. ალბათ, პოეტის ის ცნობილი ფრაზა, დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალიო, ისე მწვავედ აღქმული არც არასოდეს ყოფილა, როგორც დღეს, როცა ხელისუფლებას, რომელმაც ყრუ კედელი აღმართა თავის თავსა და ხალხს შორის, მხოლოდ ტელეეკრანზე თუ ვხედავთ საეჭვოდ გაღიმებულს საეჭვოვე დაპირებების კორიანტელში...

ტელეეკრანზე ვიხილეთ ამჯერადაც, თანაც მთელი შემადგენლობით, ჩვენი ამჟამინდელი მთავრობა თავის საგანგებო სხდომაზე, რომელიც 4 ოქტომბერს რატომღაც საღამოს 8 საათზე გაიმართა და რომელსაც თავად პრეზიდენტი უძღვებოდა.

ხალხი ძალიან ბევრს რასმეს მოელოდა ამ სხდომისაგან და არა „მოწყალებას“. უწინარესად კი მოელოდა დიდ სიმართლეს, რომელ სიმართლესაც რატომღაც აგრერიგად უჭირს დღეს დამოუკიდებელ, თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოში,

# როცა ასეთი სიძულვილია...

**ანუ მოსალოდნელია თუ არა „თეთრი“ რევოლუცია და როდის გვაგონდება ხოლმე რომელიმე ძველი იგავი**

სადაც ცხოვრება „ნილზების თეატრს“ დაემსგავსა, რომელ თეატრშიც ერთდროულად თამაშდება კომედიაც, დრამაც და ტრაგედიაც...

ხსენებული სხდომა კი ერთი მსახიობის მონოლოგით წარიმართა. მთავრობის დანარჩენი წევრები სტატისტებად მოგვევლინნენ, ისინი უსიტყვოდ ასრულებდნენ თავიანთ როლებს, ოღონდ სახეზე ყველას ეტყობოდა (მეტადრე ლომაიასა და მერაბიშვილსძ, რა „კორუფციული ცეცხლიც“ უტრიალებდათ გულ-მუცელში. ის კი არა, მინისტრ ლომაიას, უკვე სხდომის შემდეგ, ჟურნალისტებთან საუბრისას, თავდაცვის სამინისტროს ნაცვლად რამდენჯერმე წამოსცდა გან... გან... განათლების სამინისტრო. და შეცბა, მიწისფერი დაედო.

ერთი სიტყვით, სხდომაზე არც ერთ მინისტრს ხმა არ ამოუღია, ჯერ არშექმნილი ანტიკორუფციული კომისიის მიერ წინდაწინ მხილებულებივით ისხდნენ... ძალიან მძიმე განაჩენის მოლოდინში. მგონი, ისიც კი არ გაუგონიათ, რომ პრეზიდენტმა პენსიონერებისა და მასწავლებლებისთვის დასაშოშმინებლად და გულის მოსაგებად დენისა და გაზის ფულად 50-50 ლარის დარიგება ბრძანა, ეს ქალაქად, ხოლო სოფლად ფქვილისაც მიუმატა, რაც ზოგმა „უმადურმა“ ყვავისთვის კაკლის გაგდებინებას შეადარა.

სხვის მაგივრად ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მე პირადად ჩვენი მთავრობის 4 ოქტომბრის საღამოს გამართულმა საგანგებო სხდომამ ერთი ძველი ჩინური იგავი წამომაგონა...

ეს იგავი კი იმიტომ გამახსენდა, რომ ეს ჩვენი მთავრობის სხდომა

ძალიან,

ძალიან,

ძალიან ჰგავდა ხსენებული იგავის პერსონაჟთა იმ სხდომას, რომლის მონაწილენიც ისევე საეჭვოდ და დამაფიქრებლად დუმდნენ, როგორც ამ სხდომის მონაწილენი, რომელთაც, ხალხის მოლოდინისდა თანახმად, პასუხი უნდა გაეცათ მრავალ კითხვაზე. ხოლო დღემდე პასუხგაუცემელ ამ მრავალ კითხვაზე პასუხს თუ არ გასცემდნენ, იმსჯელებდნენ მაინც ბრალმდებელთა გასაგონად... ყველა პასუხგაუცემელი კითხვის ჩამოთვლა კი, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე, მართლაც, ძალიან შორს წაგვიყვანდა, იქნებ ცხრა მთაც გადავეტარებინეთ, მაგრამ რომელიმე პასუხს მაინც ვერ გვაპოვნინებდა...

მოკლედ, სჯობს ის ძველთაძველი ჩინური იგავი მოვიმარჯვოთ, მით უმეტეს, რომ ამ ჩვენი ახალგაზრდა ნაციონალური ხელისუფლების „ინტერნაციონალური პოლიტიკის“ წყალობით ჩინელები დღეს დაბნეული ბრინჯივით მოედვნენ ჩვენს ისედაც სოციალურად თუ პოლიტიკურად დაბნეულ ქვეყანას...

... მინ ზუნ ნინის დინასტიის ჟამს იყო ერთი ახალგაზრდა მეფე, ფრთხილი და ეჭვიანი, რომელმაც როგორც ჩაკბეჩილი ვაშლი პირიდან, ისე გამოსტაცა თავის წინამორბედს „ტახტი“. ამ მეფეს მონღოლობას აბრალებდნენ, მაგრამ დამბრალებლები მტრები იყვნენ, მეფე ნამდვილად ჩინელი იყო, ოღონდ ჩინელი ხალხი არ უყვარდა, სძულდა და რატომღაც გადაწყვიტა, რომ ჩინელები მონღოლებისთვის დაემგვანებინა... თუმცა, ამბავი რომელიც უნდა მოგითხროთ, სულ სხვა რასმე ეხება.

თავად შიშის გარემოცვაში გაზრდილი მეფე თავის გარემოცვაშიც შიშსა თესავდა, რამეთუ იცოდა, რომ ჩინს ქვასა ზედა ეწერა, შიში შეიქმს სიყვარულსაო. ერთხელაც, ერთერთი დიდი საჩუმათო საქმის წარმატებით დამთავრების შემდგომ, მეფემ თავისი მინისტრების გამოცდა განიზრახა და მიიხმო ყოველნი...

სეფედარბაზის შუაგულში ოცჩაფიანი სეფექვევრი იყო ჩადგმული. მეფე რასაც ჩასძახებდა, ქვევრი იმას ამოიძახებდა ხოლმე. თუკი რამ საგანგებოს ამოძახება სურდა, მეფე მაშინ რომელიმე თავის მინისტრს ჩასვამდა ქვევრში და ის მინისტრიც ზუსტად იმას ამოიძახებდა. მაგრამ როცა საგანგებო ვითარება არ იყო, ქვევრი მაინც ჩინებულად ასრულებდა თავის მოვალეობას.

ახლა კი მეფემ სულ სხვა დავალება მისცა თავის მინისტრებს. ზემოთ აღნიშნული ერთი ფრიად საჩუმათო საქმის წარმატებით დამთავრებისა გამო მეფემ თავის მინისტრებთან ერთად დიდი ლხინის გადახდა მოიპრიანა, ამისათვის კი თითოეულს (სულ ოცნი იყვნენძ თითო ჩაფი (ერთი ფუთის ტევადობისაძ ღვინო უნდა მოეტანა და სეფედარბაზის შუაგულში ჩადგმულ იმ სეფექვევრში ჩაესხა... მერე ერთად დასხდებოდნენ და ყველანი ერთად მოილხენდნენ.

ერთმა, თავისი ჭკუით ყველაზე ეშმაკმა მინისტრმა, იფიქრა, თუ ცხრამეტი თავანკარა ღვინოს მოიტანს, ჩემი ერთი ჩაფი წყალი კიდევ უფრო გააკეთილშობილებს ოცჩაფიან ქვევრსო, და თავის წილად ქვევრში ერთი ჩაფი წყალი ჩაასხა... ყველა დანარჩენიც თავ-თავისი ჩაფით მოვიდა და ის ოცჩაფიანი ქვევრიც მალე გალიცლიცდა...

მეფე, როგორც ვთქვით, ფრთხილი და ეჭვიანი იყო, თავის მინისტრებს ადვილად არ ენდობოდა და, რათა ფხიზელს მოესმინა როგორ აჭიკჭიკდებოდნენ ისინი სიმთვრალეში, თავისთვის ერთი დოქი წყალი მოატანინა.

და დაიწყო ლხინი... სადღეგრძელოებს, ბუნებრივია, მეფე ამბობდა, მინისტრები ერთს კი შესძახებდნენ ხოლმე, ჩვენს დიდ მეფეს გაუმარჯოსო, და მაინცდამაინც დიდი ხალისით არა ცლიდნენ სასმისებს, მუცელში ენაჩავარდნილებივით დუმდნენ. მეფე კი თავს იმთვრალუნებდა. რაკიღა თავის მინისტრებს სიფხიზლისა გამო ენის ამოუდგმელობა შეატყო, მან მერიქიფეს ქვევრში ჩასხმული ღვინის გასინჯვა უბრძანა. ქვევრში ღვინის ნატამალიც არ აღმოჩნდა. ოცივე მინისტრს იქ ოცი ჩაფი წყალი ჩაესხა და მუცელში ენაჩავარდნილებივითაც ამიტომ ისხდნენ ღვინის მაგივრად წყლით გაჭყეპილნი... აი, რატომ წამომაგონა ამ იგავში ვითომ მოქეიფე მინისტრების სუფრამ ჩვენი მთავრობის ოთხი ოქტომბრის საღამოს საგანგებო სხდომა...




*რაც შეეხება ხელზე თეთრი ნაჭრის შებმას, ანუ „თეთრ“ რევოლუციას, ეს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ წაადგება ჩვენ საერთო საქმეს, თუ „ღმერთი არ გაგვიწყრა“ და ყველანი ერთად უშურველად გადავუსხამთ ჩვენ-ჩვენს წილ უტყუარ სისხლს იმ დაჭრილი ჩიტივით აფანცქალებულ გულს, რომელიც ჩვენი ამჟამინდელი გზააბნეული სამშობლოს ინფარქტისწინა მდგომარეობაში მყოფი გულია. გულს კი ეს მაშინ ემართება, როცა ქვეყანაში სიძულვილის ხანძარი მძვინვარებს და პირწმინდად აჩანაგებს სიყვარულის გაფოთლილ ტყეებს...*

*დღეს, ალბათ, ცოტა ვინმესღა თუ ახსოვს რუსთაველელთა ორმოცდაათი წლის წინანდელი დიდად გახმაურებული სპექტაკლი — „როცა ასეთი სიყვარულია“!*

*მე სწორედ იმ სპექტაკლის სახელწოდება შევცვალე ჩემი წერილის სათაურად... არადა, ჩვენდა სამწუხაროდ და საუბედუროდ, ჩვენში ამჟამად მართლაც ზემოდან წამოსული სიძულვილის ხანძარია, რომელ სიძულვილის ხანძარსაც პასუხად ქვემოთაც სიძულვილის ხანძარი დახვდა და რომლის ჩაქრობა, ალბათ, მხოლოდ დიდ სიმართლესღა თუ შეუძლია... უფრო სწორად, დიდი სიმართლის დიდ სიყვარულს, რაც უკვე აგრერიგად ადვილი აღარ არის...*

**გურამ გოგიაშვილი**

*P. S. სახელისუფლებო ციხის შიგნიდან გამტეხი ირაკლი ოქრუაშვილის გუშინდელი სატელევიზიო გამოჩენის გამო კი ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ ეს ის სავალალო შემთხვევაა, როცა ხელისუფლის ყბაში ავად ჩავარდნილ და საგანგებო საპყრობილის კედლებნალეს შვილს საკუთარი დედაც ველარა ცნობს.*

*ასე ფიქრობს დღეს სიმართლემოწყურებული ჩვენი საზოგადოების უმეტესი ნაწილი, რომელიც გუშინ ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ ძალა ჩვენში აღმართს ჯერ ისევ ხნავს...*

*გ. გ.*

**ოპოზიცია მოითხოვს, ანტიკორუფციული ჯგუფი, რომელიც პრეზიდენტის ინიციატივით ჩამოყალიბდება და მხოლოდ პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული, აუცილებლად შევიდეს ოპოზიციის წარმომადგენლებიც**



◎ აქტუალური თემა

# ვისი ნდობა დაკარგა ნდობის ჯგუფმა?

**რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი საქართველოს პარლამენტში არსებული ნდობის ჯგუფის წევრების მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აღძვრას მოითხოვს.**

შეგახსენებთ, რომ ნდობის ჯგუფი საქართველოს პარლამენტში 2004 წლის ოქტომბერში შეიქმნა. ამ ხნის განმავლობაში საპარლამენტო ოპოზიცია, კანონით მინიჭებული უფლების ფარგლებში, მოითხოვდა, რომ ნდობის ჯგუფში მათი წარმომადგენელიც ყოფილიყო. მაშინ უმრავლესობა და ოპოზიცია კანდიდატურაზე ვერ შეთანხმდნენ. ოპოზიცია დავით გამყრელიძის კანდიდატურას ასახელებდა, უმრავლესობა კი ახლების ლიდერთან ამ კუთხით თანამშრომლობაზე უარს აცხადებდა. ბევრი იდავეს თუ ცოტა, არც ოპოზიციამ შეცვალა კანდიდატი და არც უმრავლესობა დაყაბულდა. ამასობაში ნდობის ჯგუფმა მუშაობა ოპოზიციის გარეშე დაიწყო, ოპოზიციამაც ხელი ჩაიქნია, თუმცა, კულუარებში ლაპარაკობდნენ, იმასაც ვნახავთ, უჩვენოდ რას გამოიძიებენო.

ნდობის ჯგუფი თვეში ერთხელ იკრიბებოდა. ბოლო შეკრება, რომელიც 2006 წლის 6 აპრილს შედგა, ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური იყო. იმ პერიოდში ოპოზიცია თავდაცვის სისტემაში არსებულ პრობლემებზე საუბრობდა.

თინა ხიდაშელმა ღია ეთერში გაიხსენა, თუ როგორ ჩავიდა ნდობის ჯგუფი ირაკლი ოქრუაშვილთან გორში, რათა ოპოზიციის ბრალდებები შეემოწმებინა.

– შეხვედრა გორში გამართეს. შემდეგ ამ სხდომიდან გამოსულები დავით კირკიტაძე, ნიკა რურუა, გივი თარგამაძე და ბესო ჯუღელი ბედნიერი სახეებით საქართველოს ამცნობდნენ, რა უსუსურია ოპოზიცია, რომ ოპოზიცია ცრუ ბრალდებებს ისვრის, დემაგოგიას ეწევა, რომ მათ ყველა ქაღალდი შეამოწმეს და თავდაცვის სამინისტროში ვერავითარი დარღვევა, ვერავითარი პრობლემა ვერ აღმოაჩინეს, ამ ადამიანების პირდაპირი მოვალეობა იყო საბიუჯეტო საქმიანობასთან დაკავშირებით თავდაცვის უწყების კონტროლი. ჩვენს ბრალდებებზე მუდმივად ამბობდნენ, რომ არაფერი არ ხდება, თითქოს ყველაფერი კარგად იყო. ამიტომ აუცილებლად უნდა დადგეს მათი პასუხისმგებლობის საკითხი, – აცხადებს თინა ხიდაშელი.

ამჯერად ოპოზიცია მოითხოვს, ანტიკორუფციული ჯგუფი, რომელიც პრეზიდენტის ინიციატივით ჩამოყალიბდება და მხოლოდ პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული, აუცილებლად შევიდეს ოპოზიციის წარმომადგენლებიც.

– თავის დროზე ნდობის ჯგუფში ოპოზიციის წარმომადგენელი რომ შეეყვანათ, შესაძლოა ის დარღვევები, რაც დღეს თავდაცვის სამინისტროში არის, არ ყოფილიყო. თუკი ანტიკორუფციული ჯგუფი მთავრობის წარმომადგენლებით დაკომპლექტდება, ეს არანაირ შედეგს არ მოიტანს, – მიაჩნია მემარჯვენეების ერთ-ერთ ლიდერს მანანა ნაჭყებიას.

მოგეხსენებათ, მემარჯვენეები გაერთიანებული ოპოზიციის გვერდით არ დამდგარან, თუმცა, არ მალავენ, რომ ისინი აზრს შეიცვლიან, თუ გაერთიანებული ოპოზიციის გვერდით ბადრი პატარკაციშვილი აღმოჩნდება.

– თუ პატარკაციშვილი გადაწყვეტს პოლიტიკაში მოსვლას, მაშინ კონფიგურაცია აბსოლუტურად შეიცვლება. ეს იქნება სულ სხვა სურათი, სულ სხვა რეალობა და არა ის, რაც დღეს გვაქვს. აქედან გამომდინარე, პოზიციების გადახედვა შეიძლება... მე ვფიქრობ, ახალი მემარჯვენეები ბადრი პატარკაციშვილის გვერდით, – იქნებიან – ამბობს მანანა ნაჭყებია.

ოქრუაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება გრძელდება.



ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლებას სურს მათი გაერთიანება ერთი კაცის გარშემო შეკრების სურვილად წარმოაჩინოს. პარტიები გააერთიანა იმან, რომ ქვეყანაში სიტუაცია შეიცვალოს, – აღნიშნავენ გაერთიანებული ოპოზიციის წევრები.

უმრავლესობა კვლავაც მოუწოდებს ოპოზიციას პრორუსულ ძალებს გაემიჯნონ. გიგა ბოკერია ასეთად ნათელაშვილის ლეიბორისტულ პარტიას და ეროვნულ ფორუმს მოიხსენიებს. ბოკერიას ჯინაზე გაერთიანებული ოპოზიცია ლეიბორისტების ოფისში შეიკრიბა. ეს შეკრება გამოეპარა ირაკლი წერეთელს, რითაც ძალიან უკმაყოფილო დარჩა. წერეთელი მიიჩნევს, რომ ოპოზიციის ნაწილი ცალკე თამაშს თამაშობს. მას არ მოეწონა, რომ გაერთიანებული ოპოზიცია მიტინგის ჩატარებას ორ ნოემბრამდე არ აპირებს. იგი პერმანენტული აქციების მომხრეა. წერეთელი ხელისუფლების მხრიდან მიტინგის დარბევას გამორიცხავს.

ირაკლი წერეთელი პრეზიდენტისა და მისი ხელისუფლების დამოკიდებულებას მშვიდობიანი დემონსტრაციის მიმართ ერთადერთ სიკეთედ აფასებს. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილს საქართველოში არც ერთი აქცია არამცთუ არ დაურბევია, დარბევის ცდაც არ ყოფილა.

**მზია გელენავა**

◎ ინფორმაცია

## შენც, ბრუტუს!!!

**საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას მეგობარი და თანაგუნდელი, ვიცე პრემიერ-მინისტრი გიორგი ბარამიძე ჟვანიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით არსებულ არაოფიციალურ ვერსიებს არ იზიარებს და გამოძიებას სრულად ენდობა.**

**როგორც გიორგი ბარამიძემ განაცხადა, მისთვის და ყოფილი პრემიერ-მინისტრის ყველა მეგობრისთვის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება თავზარდამცემი იყო. „ჩვენ დავკარგეთ არა მარტო ლიდერი, არამედ დიდი მეგობარი და მასწავლებელი, რომელსაც პირადად მე, ჩემს მომავალ ცხოვრებას ვუკავშირებდი, როგორც პოლიტიკურს, ისე პოლიტიკის მიღმა. მისი დიდი იმედი მქონდა და ძალიან მიჭირს ამ საკითხზე საუბარი, განსაკუთრებით იმ ადამიანების კომენტარების ფონზე, ვინც ზურაბ ჟვანიას სიცოცხლეში მისი სახელის ლაფში ამოსვრის მეტს არაფერს აკეთებდა,“ – აღნიშნა გიორგი ბარამიძემ.**

**მისივე თქმით, პრემიერ-მინისტრის მეგობრები მისი გარდაცვალების გამო პოლიტიზირებული განცხადებებისგან თავს იკავებენ, ზოგიერთები კი ახლა გახდნენ ზურაბ ჟვანიას „გულშემატკივრები“ და ძალიან სამწუხაროა, რომ ისინი ამ მტკივნეულ თემას თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ.**

**„ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავთ არც ერთ ვერსიას, მაგრამ გამოძიება არის ერთადერთი კომპეტენტური ორგანო, რომელიც პოლიტიკის გარეშე ისაუბრებს. გამოძიება მიმდინარეობს და მასში არა მარტო ქართველები, არამედ ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. არანაირი საფუძველი არ გამაჩნია იმისა, რომ მათ უნდობლობა გამოვუცხადო,“ – აღნიშნა საქართველოს ვიცე-პრემიერმა.**

**როგორც გიორგი ბარამიძემ აღნიშნა, ყოფილი პრემიერ-მინისტრის მეგობრებისთვის ძალიან რთულად მისაღები და აღსაქმელია ის გარემოება, რომ ზურაბ ჟვანია უბედური შემთხვევის გამო, ბუნებრივი გაზით გაგუდვის მიზეზით დაიღუპა. „მე არა ერთხელ მისაუბრია აღნიშნულ საკითხზე, როგორც ქართულ გამოძიებასთან ისე ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლებთან და სხვანაირად განსჯის უფლება ნამდვილად არ მაქვს და მიმაჩნია, რომ გადაკვრით მინიშნებაც კი იმისა, თითქოს ამ ამბის გამოძიებით ხელისუფლება არ არის დაინტერესებული ან ხელისუფლებას რაიმე ბრალი მიუძღვის მის გარდაცვალებაში, არაკეთილსინდისიერი და საზიანოა ქვეყნისთვისაც და იმ საქმისთვისაც, რასაც ზურაბ ჟვანია ემსახურებოდა,“ – აღნიშნა ყოფილი პრემიერ-მინისტრის თანაგუნდელმა.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ გამოხმაურება

# „ეშმაკობ, ქილია, რაღაცას შენ!“

## საპიარო, „საპირდაპირჩართვო“ და, მაშასადამე, არასაიდუმლო სერობა მთავრობის კანცელარიაში

**გასულ ხუთშაბათ საღამოს ყველა ძირითადმა ტელეარხმა შეწყვიტა თავისი პროგრამა და მთავრობის კანცელარიაზე გადაერთო. ჩემი ასოციაციები რომ დასწყევლოს ღმერთმა – დიდი სამამულო ომის წლები გამახსენა და იური ლევიტანის ჟრუანტელისდამვლელი ხმა მოსკოვიდან: Работают все радиостанции Советского союза!..**



დიახ, პრეზიდენტმა სასწრაფოდ მოიწვია მთავრობის სხდომა, რომელიც მთლიანად, „ზარიდან ზარამდე“ (და ასე მგონი, პირველადჰ გვაჩვენ-გვასმენინეს.

იყო ქვეყნის პირველი პირის მრისხანება, მინისტრების „ჩამოვლა“ მრგვალი მაგიდის ირგვლივ და იმავე მინისტრების... მორჩილი ფიზიონომიები.

ცნობილი მოვლენების შედეგად შექმნილმა ვითარებამ მოითხოვა ეს სერობა, საზოგადოების მოსახლეობის, ხალხის საჯარო მოთაფვლა გახდა საჭირო, საზოგადოებასთან, მოსახლეობასთან, ხალხთან „წაბლატავება“ გახდა საჭირო და იმიტომ. ისე, „პიაროგია“ და დემაგოგია, იცოცხლეთ, „გვეკერკებოდეს“...

თორემ რა – საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა ახალი გაორმაგებულია? გადიდებული გადასახადებით „ქისის ამოხდა“ ახალი ხილია? ჩვენი ყოჩალი ეკონომიკის ექსპრესული წინსვლა, ბიუჯეტის მიუნჰაუზენური გაბერვა, მაგრამ ამავე დროს სამომხმარებლო ფასების წინ სულ ხტუნვა-ხტუნვით სირბილი აქამდე არ იყო „გაჟღერებული“ და ახლა გახდა სამეფო ენაპირით „გასაჟღერებელი“? იგივე სამომხმარებლო მინიმალური კალათა ახლაა გასათვლელი?

ერთი რამ ახალი კი მართლა შევიტყვე: თურმე კახეთში რთველი სულ მუსიკით, ყვავილებითა და ოვაციებით იმედის და „მოღალატუკები“ კი გვატყუებდნენ...

50-50 ლარი დავარიგოთო. აბა, თუ ღმერთი გწამთ, სად რუსლანას 500 ათასი დოლარი და სად ჩემი 50 ლარი! „იყო სამი ძმა. თქვეს ერთხელ ძმებმა, მოდი, გავიყარნოთო. უფროსს ერგო სახლები, მეორეს – მამული, მესამეს – ერთი ქუდი. იგი ეუბნება ძმებს: – ამ ქუდზე მოვხნა, დავთესო, ვჭამო თუ ვსვაო. ეს რა ღვთის წყრომააო!..“ (ქართული ზღაპრიდან ყოფილა – მე ოთარ ჭილაძის „დევებით სავსე ქუდიდან“ მახსოვს. აკი მივაწყევლე ზემოთ ჩემს ასოციაციებსჰ...

„ვენი, ვიდი, ვიცი“ („მივედი, ვნახე, ვძლიე“ჰ – ეს იულიუს კეისრის სიტყვებია ერთი იოლი გამარჯვების გამო თქმული.

„მოვედი, ვიბობოქრე, წავედი“ – ასე შეიძლება ამასწინდელი საღამოს პირდაპირი ჩართვის არსის სულ მოკლე გამოხატვა. სხდომა კი არცთუ მხიარული დარჩა...

**მინაწერი:** ერთჯერად 59 ლარს „რეალურ სივრცეში“ მართლაც გადმოგვიგდებენ. 50 მეგაპერცისას კი იტრაბახებენ... და კიდევ: ეს ყველაფერი საზოგადოების რიგითი წევრის ხედვითაა გადმოცემული, თორემ ექსპერტები თავისას იტყვიან...

**თამაზ ეზანოიძე**

№ 194. სამშაბათი, 9 ოქტომბერი, 2007 წელი.

# სახელმწიფო

● საქართველოში ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ქვეყნისათვის ძალიან სამწუხარო ფაქტი. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ხალხი და ხელისუფლება ძალიან დაშორდა ერთმანეთს



◉ გამოხმაურება

# ის, რაც იუპიტერს ეპატიება, ხარს არ ეპატიება

**როდესაც ფეხბურთში შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელს უსაყვედურეს, მისი ნაკრების წევრთა ალკოჰოლურ სასმელებთან „მეგობრობის" გამო, მან ჟურნალისტებს შესანიშნავი პასუხი გასცა, იპოვეთ შოტლანდიაში თერთმეტი ჯანმრთელი მამაკაცი, რომელიც არ სვამს და იმათ ვათამაშებო.**

საქართველოს პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულმა ახალმა ინიციატივამ, შექმნას ანტიკორუფციული ჯგუფი, რომელიც ხელმძღვანელ მუშაკთა ქონების ზრდის ტემპებს შეისწავლის, შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელი გამახსენა. პრინციპში რაღა ახალია. ასეთი ჯგუფი შევარდნაძის დროსაც არსებობდა „შვიდკაცას" სახელით (გთხოვთ რაგბისტებში არ აგერიოთ, თუნდაც იმის გამო, რომ ქართველი რაგბისტები ნამდვილად ქართულ და ღირსეულ საქმეს აკეთებენძ. შევარდნაძისეულ ანტიკორუფციულ ჯგუფში „წარმატებით მოღვაწეობდნენ" ისეთი ცნობილი სახეები, როგორებიც დავით უსუფაშვილი და პავლე კუბლაშვილი არიან, მაგრამ „ბედის უკუღმართობით" დღეს ისინი „ბარიკადის" სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. რაც შეეხება შევარდნაძისეული ანტიკორუფციული გუნდის მიერ განხორციელებულ ყველაზე „დიდ და წარმატებულ ოპერაციას", თამამად შეიძლება ჩაითვალოს მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორის კობა ბუჩუკურის განთავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან, ქონებრივ დეკლარაციაში რაღაც-რაღაცეების დამალვის გამო. მაშინაც ყველა მიხვდა, რომ ამ განთავისუფლების მიზეზი არა რაღაც ნახევრად დანგრეული შენობა, არამედ მისი მეუღლის, პარლამენტის წევრ მარინა მოლოდინის ზურაბ ჟვანიას გუნდის წევრად დარჩენა იყო.

გამომდინარე იმ დიდი გამოცდილებიდან, რომ დღეს საქართველოში არაფერი არ იცვლება და თუ იცვლება მხოლოდ უარესობისკენ (არ ვგულისხმობ შადრევნებს, ასე, თუ ისე შეკეთებულ გზებს და კახეთის გზატკეცილისთვის ჯორჯ ბუშის სახელის მინიჭებასძ დაახლოებით ვხვდები, თუ რა ლოგიკიდებს გაატარებს პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეზე დაქვემდებარებული ეს ახალი ორგანო (ისე პარლამენტის თავმჯდომარის „სტატუსის" ასეთი ფორმით ამაღლება, ალბათ იმ წყენამ გამოიწვია, რომელიც ქალბატონმა ნინომ „განიცადა" ახალი მთავრობის წარდგენის დროს, მაგრამ მე მგონი ეს ნაბიჯი უფრო „ზრდილობისთვის" გადაიდგა, რადგანაც ქვეყნის მეორე პირის გავლენის სფერო მხოლოდ მისი პირადი სამდივნოთი შემოიფარგლებაძ.

რაც შეეხება კორუფციასთან მებრძოლ ახალ გუნდს და მის „მწვრთნელს" მიხეილ სააკაშვილს. წერილის დასაწყისში მოყვანილი შოტლანდიის ნაკრებისგან განსხვავებით, საქართველოში ნამდვილად მოიძებნებიან არაკორუმპირებული ადამიანები, თანაც საკმაოდ დიდი რაოდენობით, მაგრამ ისინი ან პედაგოგები არიან, ან პენსიონერები, ან სოფლებში მცხოვრები გლეხები (რა თქმა უნდა, კიდევ მრავალ რიგით ქართველ მოქალაქესაც არანაირი შეხება არა აქვს კორუფციასთანძ, ამიტომ მათ არანაირი შანსი არა აქვთ მოხვდნენ ამ ახალ ორგანოში.

ერთი ანეკდოტიც გამახსენდა: ორი ქალბატონი საუბრობს. ერთი ტრაბახით ამბობს, ჩემი ქმარი ქრთამს არ იღებსო. რატომო? უკვირს მეორეს. არ აძლევენო, უკვე გულისწყვეტით ამბობს პირველი.

კორუფციასთან ბრძოლა რომ ქვეყნის არსებობისთვის აუცილებელი საქმეა, მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ ის, თუ ვინ ებრძვის მას, ფრიად საჭირბოროტო საკითხს წარმოადგენს. ქვეყანაში, სადაც ვერც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა ვერ ლებულობს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას, სადაც არ არსებობს დემოკრატიის ყველაზე მთავარი ორგანო — დამოუკიდებელი სასამართლო, ვერანაირი კომისიები, გუნდები თუ ჯგუფები ვერაფერს ვერ შეცვლიან, თუნდაც იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ ბოლოს მათი კვლევის შედეგები სასამართლოს უნდა გადაეცეს. იმ სასამართლოს, რომელიც მოპარული მობილური ტელეფონის შექენისთვის (იმ ტელეფონის ფასი მაქსიმუმ 200 ლარი შეიძლება იყოსძ ეჭვმიტანილ ახალგაზრდას 170000 (ას სამოცდა ათი ათასიძ ლარიან გირაოს აკისრებს, ხოლო 10000000 (ათი მილიონიძ ლარის ოდენობის კორუფციული გარიგების მთავარ მონაწილეს 10000 (ათი ათასიძ ლარის გირაოს გადახდის შემდეგ ანთავისუფლებს.

რა მაგის პასუხია და ამხელა ამბავი რომ ატყდა ირაკლი ოქრუაშვილის „დავალებით" ქიტოშვილის მიერ ჯეოსელის აქციების „გადასხვისების" გამო, საინტერესოა, რატომ არაფერი ისმის იმავე ქიტოშვილის მიერ, ოქრუაშვილის ეკონომიკის მინისტრობიდან გადადგომის დღეს, ანუ გასული წლის 17 დეკემბერს, განხორციელებულ კიდევ ერთ „ოპერაციაზე", რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ქიბარ ხალვაშისგან საერთოდ გაურკვეველი ინდმეწარმესათვის გადაფორმებას შეეხება (იმ ინდმეწარმეზე უნდა ითქვას, რომ მის ქონებას ერთი დაკეტილი ოთახი და დავალიანების გამო გამორთული ტელეფონი შეადგენდა, მაგრამ „საწარმოს" მფლობელი დიმიტრი ქიტოშვილის მეგობრად სახელდებაძ.

ბოლო მთავრობის სხდომაზე, რომელზეც „ვოლკის" დაკავებაში დაშვებული „შეცდომის" გარდა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ მეთოდებს, ხალხის დასაქმების ახალ გზებსა და 50 ლარითა და თითო ტომარა ფქვილით მოსახლეობის „კეთილდღეობის ამაღლებას" ეხებოდა, პრეზიდენტმა მთავრობის წევრები გააფრთხილა, რომ ახალი ანტიკორუფციული ორგანო, პირველ რიგში თქვენი შემოწმებით იქნება დაკავებული. უნებურად წარსულის ის ფურცლები მომაგონდა, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა პრეზიდენტი არ იყო, მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებაში ნარკომანიასთან ბრძოლის მიზნით თანამშრომლებს სისხლის ანალიზის ალება დაავალა და პირველი მაგალითი მასმედიის ფართო სპექტრის წინაშე თვითონ მისცა. იმედია, ამ შემთხვევაშიც არ უღალატებს ბატონი პრეზიდენტი თავის „სტილს" და მთავრობის წევრებს პირველ მაგალითს თავად მისცემს, მაგრამ...

თავდაცვის ყოფილი მინისტრის ადვოკატმა, ეკა ბესელიამ გენერალურ პროკურატურაში ჩააბარა ბატონ ირაკლის განცხადება, რომელშიც ოქრუაშვილი მოითხოვს მის დაკითხვას იმ ბრალდებათა თაობაზე, რომლებიც მან ტელეიმედის „ღია ეთერში" გააკეთა. გენერალური პროკურატურის დუმილი, უფლებას მაძლევს გავაკეთო ძველი რომაული გამონათქვამის მცირე ინტერპრეტაცია და ვთქვა, რომ „კეისრის ბიძა ეჭვგარეშეა".

საქართველოში ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ქვეყნისათვის ძალიან სამწუხარო ფაქტი. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ხალხი და ხელისუფლება ძალიან დაშორდა ერთმანეთს. ფაქტობრივად შეიქმნა ორი პოლუსი, საიდან მომავალი ინფორმაციებიც რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან.

ხელისუფლების პოლუსზე მდგომნი ყველანაირად ცდილობენ ფერადი ბუშტებით, შოუ ბიზნესის „ვარსკვლავების" სიმღერებითა და „პატრიოტულ ბანაკებმოვლილი" ახალგაზრდების ყიჟინით გადაფარონ კახეთში ვენახების ჩეხვის ხმა, გადაფარონ გაურკვეველი წარმოშობის ფირმების მიერ შესყიდულ ტყეებში ფიჩხისა და მაყვლის შეგროვებისას დაჭერილი გლეხების გინება და უამრავი პრობლემის გამო პარლამენტის წინ შეკრებილი 30000 კაცის პროტესტი.

ბოლო მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტმა ერთი ძალიან საინტერესო საკითხიც დააყენა. იგი აქამდე იგნორირებულ 40-50 წლის ადამიანებს ეხებოდა. მან ძალიან გვიან გაიხსენა ეს ადამიანები. გაიხსენა, საკმაოდ თბილად მოიხსენია და მათი დასაქმებისა და სპეციალური „გადამზადების" შემდეგ ქვეყნის „აღმშენებლობაში" ჩართვაც დააპირა. პრეზიდენტის ამ ინიციატივას ორი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: 1. პრეზიდენტი მიხვდა, რომ ქიტოშვილების, ბალავაძეების, სამყურაშვილების და მათთა მსგავსთა ხელით ქვეყანა კი არა, საქათმე ვერ აშენდება. 2. გაიხსენა, რადგანაც გაერთიანებული ოპოზიციის ლოზუნგი „არ გვეშინია" სწორედ ამ ასაკის ადამიანებისგან მოდის.

გვიანია ბატონო პრეზიდენტო, ძალიან გვიანი. გვიანია, რადგანაც ამ ხალხს მართლაც აღარაფრის აღარ ეშინია. იმედი მაქვს რუსეთის აგენტობას არ დამაბრალებენ, თუ ერთ ცნობილ რუსულ გამონათქვამს გამოვიყენებ „ნე პუგაი, ია უჟე პუგანნი". ამ თაობამ ყველაფერი ნახა, რისი ნახვაც შეიძლება. ნახა რუსული ტანკები, ნიჩბები და მომწამვლელი გაზი, ნახა ომი, ისეთი ომი, როდესაც ერთმანეთს კლასელები, ბავშვობის მეგობრები და ნათესავები ესროდნენ, ნახა შიმშილი, სიცივე, ნახა გაურკვეველი მომავალი. ნახა ეს ყველაფერი და ბევრი რამეც დაკარგა. დაკარგა ძმაკაცები, ზოგი ტყვიით, ზოგი „წამლით", ზოგი ვალებით. დაკარგა სამშობლოს დიდი ნაწილი, ყველაზე საყვარელი და ლამაზი ნაწილი, მაგრამ არ დაუკარგავს ღირსება, არ დაუკარგავს ვაჟკაცობა, თავმოყვარეობა და რწმენა. არ დაუკარგავს თავისი შვილების მომავლისთვის ბრძოლის უნარი. არ დაუკარგავს და ამიტომ მათი ყიდვა და, მით უმეტეს, შეშინება ნამდვილად შეუძლებელია.

რაც შეეხება წერილის სათაურს და წერილში გამოყენებულ რომაულ გამონათქვამს, უბრალოდ მინდა ვთქვა, რომ საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი იუპიტერი ნამდვილად არ არის.

**გია გაბრიჭიძე**

◉ პრემიერის შემდეგ

# საკმარისია!

**5 ოქტომბერს, საღამოს 2 საათზე ვაკის პარკში უმრავი ადამიანი შეიკრიბა სტუდია „რეპორტიორის" მიერ გადაღებული ფილმის „ტყვიის გარეშე" მეორე ნაწილის ჩვენებაზე.**

არ მოვყვები ფილმის დეტალების გარჩევას. რომლებიც გვაკვალიანებს, თუ რამდენი პროცენტი უნდა იყოს სისხლში მხუთავი აირის შემცველობა, რათა სიკვდილი გამოიწვიოს, არ დავინტერესდები იმ საკითხით, თუ რატომ არ აღმოჩნდა ნახევრად დაცლილ კონიაკის ბოთლზე თითების ანაბეჭდები. არ დავკონკრეტდები გარდაცვლილი პრემიერის დაცვის თანამშრომლების „სიჩაუქეზე", რომლებიც ხან „ახერხებენ" ფანჯრის გისოსებში „გაძრომას" და ხან — ვერა. არ დავკონკრეტდები, რადგანაც იმ ხალხმა, ვინც იმ დღეს ცრემლიანი თვალებით და აღშფოთებული გულით უყურებდა ეკრანს, ისედაც ყველაფერი იცის.

თუ ისედაც იცის, რა იყო იმდენი ხალხის შეკრების მიზეზი?





პასუხი მარტივი, მაგრამ ძალიან საშიშია, რადგან ყველას ყელში ამოუვიდა სიცრუე და ამ სიცრუის „გასვლისგან" გამოწვეული დაუსჯელობის სინდრომი.

ხალხი მიხვდა: თუ არ იქნება ზუსტად გამოძიებული პრემიერ-მინისტრის მკვლელობა, არასოდეს არ დაისჯებიან არც სანდრო გირგვლიანის, არც ბუტა რობაქიძის, და არც სხვა უამრავი ახალგაზრდის მკვლელები.

ხალხი მოვიდა და თქვა: საკმარისია!

**გიორგი ბრელიძე,**

**მურად ალაშვილის ფოტო**

# ვაკ, სოფელო

● საოჯახო კონფლიქტებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ათეულობით მუხლი არეგულირებს, მაგრამ სამწუხაროდ, კანონის მოთხოვნებს დასაქორწინებელი წყვილები არ იცავენ



◎ უყურე, შენ!

# PREVENTIO –

## ანუ, ვიდეოთვალი (კამერა) ცოლ-ქმრის საძინებელ ოთახში?..

**გაზეთმა „ახალმა თაობამ“ ახლახან, 12 სექტემბერს, დაბეჭდა ინტერვიუ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კოორდინატორთან, ადვოკატ ირმა ალადაშვილთან, ტაბუდადებული „ოჯახური ძალადობის ფაქტებზე“.**

როგორც ჩემი ახალგაზრდა კოლეგა გვაუწყებს, „საიაში“ შექმნილა პროექტი „ოჯახური ძალადობის პრევენციაზე“. ჩემს ნახევარსაუკუნოვან საადვოკატო პრაქტიკაში, ათეულობით საოჯახო დავების შუაცეცხლში ვყოფილვარ (როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეებშიძ და, ცხადია, ინტერვიუ გულდასმით წავიკითხე. ჩემი მოსაზრებები „ახალ თაობას“ წერილობით ვაცნობე, რომელიც რატომღაც არ დაისტამბა.

დავიწყოთ ოჯახური ძალადოს პრევენციით, რომელიც ინტერვიუში დომინანტობს. ამიტომ გავაკეთებ პრევენციის განმარტებას: — **„პრევენცია (ლათინურად Preventiod ნიშნავს — წინასწარი ზომების მიღებას რაიმეს თავიდან ასაცილებლად“**. ეს პრევენცია გლობალური თემაა და იგი სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში სხვადასხვაგვარად წყდება (რაც მრავალსერიანი ფილმებიდანაც კარგად ჩანსძ. ქართული კანონმდებლობა კი ამ საკითხს თავისებურად უდგება, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

რაც შეეხება ოჯახური, სექსუალური, ეკონომიური ძალადობის მსხვერპლთ, ასეთები მხოლოდ ქალები ყოფილან, ასე აცხადებს ქალბატონი ირმა, რაშიც, ცხადია,მას ვერ დავეთანხმები. ღმერთო შეგცოდე და ოჯახური ძალადობის „მსხვერპლნი“ უმეტესად მამაკაცები არიან (ხმა ამოიღეთ მამაკაცებო!) ჩემი აზრით, პრობლემა „ოჯახური ძალადობის მსხვერპლის“ დადგენის სირთულეშია, სამართლებლივი მტკიცებულებების მოპოვების თვალსაზრისით, რადგან საქმე გვაქვს **ერთი-ერთზე.** დიახ, რა ხდება გამოკეტილ ოთახში, ცოლ-ქმრის სარეცელში ძნელი დასადგენია, ანუ ქმარი ძალადობს და აუპატიურებს ცოლს თუ ცოლი აუპატიურებს ქმარს. ბევრი შემხვედრია აგრესიულად განწყობილი ქალი, რომელიც აწამებს ქმარს, რომელიც არაქათგამოცლილი ჩაწვა ლოგინში... ამასთან დაკავშირებით „გენიალური“ აზრი მომივიდა: დიახ, არის გამოსავალი ბატონებო! მე ვურჩევდი „ძალადობის მსხვერპლთ“ (ცოლს ან ქმარსძ იმავე ღამეს ან დილით გამოცხადდეს პოლიციის განყოფილებაში და დააფიქსიროს გაუპატიურების ან სხვა ძალადობის ფაქტი... პოლიცია დაუყოვნებლივ მიდის დანაშაულის „ობიექტზე“ და მოძალადის სახლში არყოფნის დროს ცოლ-ქმრის ოთახში საიდუმლოდ ამონტაჟებს ვიდეოკამერას ჩამწერით (ჩვენს ხელისუფლებას ხომ ყოველ გზაჯვარედინზე დამონტაჟებული აქვს ასეთი აპარატურა?!ძ ჰოდა, აღარც მეზობლების მიყურადღება, ოჯახის წევრების ჩვენებები და სხვა ნივთმტკიცებები საჭირო აღარ იქნება. მაგრამ აქ არის ერთი „მაგრამ“, ჩვენს პოლიციას ამის საკანონმდებლო ბაზა არა აქვს. ამიტომ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მამაშვილურად ვთხოვ, შეისმინოს „ახალგაზრდა“ იურისტის შეგონებანი: ინიციატივით შევიდეს ჩვენს პარლამენტში, რათა მიიღონ კანონი (ოჯახური ძალადობის აღკვეთის ღონისძიების შესახებძ, რითაც პოლიციას უფლება მიეცემა დააყენოს ვიდეოთვალი საძინებელ ოთახში, მორჩა და გათავდა, ესეც პრევენცია!



დაბოლოს, დაინტერესებულ მკითხველს უნდა ვაუწყო, რომ საოჯახო კონფლიქტებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ათეულობით მუხლი არეგულირებს, მაგრამ სამწუხაროდ, კანონის მოთხოვნებს დასაქორწინებელი წყვილები არ იცავენ. **ისინი არ აცნობიერებენ, რომ სსკ-ს 1106 მუხლის ძალით „ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი“.** ამავე კოდექსის 1116 მუხლის ძალით — „დასაქორწინებელმა პირებმა ქორწინების რეგისტრაციისას უნდა განაცხადონ, რომ მათ იციან ერთმანეთის ჯანმრთელობის შესახებ“. აქ, ჩემი აზრით, კანონში დიდი ხარვეზია, რადგან შეყვარებულმა წყვილმა, რომლებიც „ამურის ზემოქმედების ქვეშ“ იმყოფებიან, შეუძლებელია იცოდნენ ერთმანეთის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მაგალითად, მომავალი მეუღლის პოტენცია, ვენერიული დაავადების არსებობა და სხვა ორგანული დაავადებანი. რომელიც შეიძლება დადგინდეს მხოლოდ სამედიცინო დასკვნით. აი, სად მარხია ძაღლის თავი. აქ გასათვალისწინებელია ქალიშვილის ინსტიტუტის ცნებაც, რომელიც ჩვენი განათლების მინისტრის კახა ლომაიას აზრით, მალე საიქიოში წერილს წაიღებს, რადგან ჩვენს განათლების სისტემაში 10-12 წლის ბავშვები სკოლაში უკვე გადიან „სექსუალური მომზადების კურსებს“, ხოლო 16-17 წლის გოგო-ბიჭები (პატრიოტებიძ ბუჩქებში სექსაობენ!

ჩემს წერილს ამით დავამთავრებდი, მაგრამ ერთი მცირეოდენი შენიშვნა მინდა მივცე ქალბატონ ირმა ალადაშვილს: გთხოვთ თავი დაანებოთ 80 წლამდე მიღწეულ მამაკაცებს, რომლებსაც, ასევე ხანდაზმული მეუღლეები, სექსუალურ ძალადობაში ამხელენ. ნუ ენდობით ასეთ სქესობრივი ძალადობის „მსხვერპლ“ ქალებს, რომლებსაც ეს საკითხი საერთოდ „არ აინტერესებთ“. კაცებს კი ხანდახან საქორწინო ხელშეკრულება ახსენდებათ...

პატივისცემით,

**ნოდარ ნებიერიძე,**

**ადვოკატი,**
**ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი**

◎ მოქცევა

**ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე განსხვავებულია თავისი დამარცხებებითა თუ გამარჯვებებით, დაცემითა თუ წამოდგომით, მართლაც, განსაცდელის შედეგად ბევრი ადამიანი მოქცეულა და დაუწყია სალმრთო ცხოვრება. სწორედ ამის შესახებ მოგითხრობთ ხოლმე ჩვენს ახალ რუბრიკაში „მოქცევა“.**

# როცა პატიმრობის დრო გამივა

***რუბრიკის პირველი სტუმარია რუსთაველი ნათია ბერიძე, რომელმაც ოთხი წელი გაატარა ბოლნისის ღვთისმშობლის შობის მონასტერში. ნათია მძიმე სენმა მიიყვანა იქ. დღეს თითქმის განკურნებულია და როგორც თვითონ ამბობს, ცოდვების გამო ღვთისგან დასჯილს მალე პატიმრობის ვადა გაუვა.***



ნათია შვილებთან ერთად

— ჩემი დასნეულება უბრალო მიზეზმა განაპირობა. ჩავიკეტე, არავის დანახვა არ მსურდა. დამეწყო უძილობა, ხელების დაბუჟება, ერთი წლის განმავლობაში ისე ვემზადებოდი უნივერსიტეტში შესასვლელად, რომ ფაქტობრივად არ მიძინია. მეორე კურსზე ვიყავი, როცა კრუნჩხვა დამეწყო. რა თქმა უნდა, ექიმებს მივაკითხე, მაგრამ ისეთ წამლებს მინიშნავდნენ, რომლებიც მაბრუებდა, შედეგს კი არ მაძლევდა. მივხვდი, რომ საჭირო იყო სხვა გზის მოძებნა. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ღმერთი არ მიმატოვებდა. ექიმებს რომ მოვერჩინე, ისიც უფლის ნება იქნებოდა. ექიმებმა ურჩიეს დედაჩემს, გათხოვების შემდეგ გაუვლისო. გავთხოვდი და ორივე შვილი საკეისრო კვეთით გავაჩინე. მერე და მერე ავადმყოფობა უფრო გამირთულდა. მოგეხსენებათ, ავადმყოფი ცოლი რა მოსაწყენია, მით უმეტეს, ჩემნაირი. სულ შიშში ხარ და სულ კრუნჩხვას ელოდები. მე და ჩემი მეუღლე სამი წლის შემდეგ დავშორდით. დამრჩა ორი მცირეწლოვანი შვილი და გართულებული ავადმყოფობა.

ბოლო დროს ხშირად მესმოდა კვეთებულის თაობაზე, რომელსაც მამა სოკრატე და მამა აკაკი ატარებდნენ. ერთ მშვენიერ დღეს ვიჯექი სახლში და ჩემს ცხოვრებას რომ გადავხედე, წამიერად უფალმა და ღვთისმშობელმა მიმახვედრეს, რა გზას უნდა დავდგომოდი. გავიფიქრე, რომ ეს ავადმყოფობა ნამდვილად ის იქნებოდა, ეშმაკს რომ ეძახიან. გადავწყვიტე, კვეთებულის ლოცვაზე მევლო. ჩავაბარე პირველი აღსარება, მაგრამ მღვდელმა უარი მითხრა ზიარებაზე ექვსი თვის განმავლობაში. ერთი-ორჯერ წირვასაც დავესწარი. გულზე ჯვარი დავიკიდე და ლოცვანი ვიყიდე. ღვთისმშობლის ხატები ვაკურთხებინე და შინ დავაბრძანე. ტელევიზორის ყურებისას თუ სხვა სიტუაციებში უსაზღვრო სინანულის გრძნობა მეუფლებოდა. ერთ დღეს ძალიან ცუდად გავხდი და დაკრუნჩხული, მაგრამ გრძნობაზე მყოფი დედას შველას ვთხოვდი. შეშინებულმა დედაჩემმა ნათესავებს დაურეკა. გამოვაცხადე, არ მინდა სასწრაფო და ნემსი, მღვდელი მოიყვანეთ-მეთქი. მამა დიმიტრისთან შეხვედრა მოვითხოვე. ყურადღებით მომისმინა და მითხრა: შვილო, ბოლნისში არის ღვთისმშობლის შობის მონასტერი, სადაც ბერი მამა სერაპიონი მოღვაწეობს. სჯობია, იქ წახვიდეო. მამა სერაპიონის სახელი გავიგონე თუ არა, მაშინვე მომეხსნა კრუნჩხვა. წამოვხტი ლოგინიდან, თითქოს არც არაფერი მაწუხებდა.

ორ კვირაში (2002 წლის 11 ოქტომბერსძ მორწმუნე მეგობარი გოგონას თანხლებით ჩავედი ბოლნისში. მამა სერაპიონმა დაწვრილებით გამომკითხა ყველაფერი, ბოლოს ვუთხარი: მამაო, ორი შვილი მელოდება სახლში და სამ დღეში განკურნებელი უნდა გამიშვათ, მეტს ვერ დავრჩები-მეთქი, გაოცდა: შვილო, სამ დღეში როგორ განიკურნები, სულ ცოტა სამი წელი მაინც დაგჭირდებაო.

შევუდექი მონასტერში ცხოვრებას. მამა სერაპიონმა მალე მაზიარა. მე ერთ შეპყრობილ გოგონაზე დავიწყე ზრუნვა და ჩემი ავადმყოფობა სულ დამავიწყდა. სამზარეულოშიც ვეხმარებოდი დედებს. ჩემი შვილები მამა სერაპიონს მოვანათვლინე, დედაჩემიც და შვილებიც ეზიარნენ. ექვსი თვის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ მქონდა შეტევა, ისიც მსუბუქად, მაგრამ მამა სერაპიონი თავზე ხელს დამადებდა თუ არა და ლოცვას დაიწყებდა, მაშინვე ვწყნარდებოდი. ზოგჯერ სამი საათის განმავლობაში ებრძოდა ბოროტს.

მამა სერაპიონის ქადაგებებმა მიმიყვანა ჩემს ავადმყოფობის ნამდვილ მიზეზამდე. მივხვდი, ყველაფერი ჩემი ცოდვების ბრალი იყო და სანამ ჩემს ჯიუტ ხასიათს არ გამოვასწორებდი, არაფერი მეშველებოდა. მას შემდეგ დავიწყე ჩემს თავთან ბრძოლა.

იხ. 11 გვ.

№ 194. სამშაბათი, 9 ოქტომბერი, 2007 წელი.

# განვლილი გზა

ამერიკის პრეზიდენტთა უმრავლესობა საშუალო ფენის წარმომადგენელია, თუმცა უღარიბესი ოჯახიდან და ობლობაშია გაზრდილი ე. ჯეკსონი, ასევე ჯ. ა. გარფილდი და მხოლოდ სამი მათგანი არის პოლიტიკურ-ინტელექტუალური წრიდან თ. რუზველტი, ფ. დ. რუზველტი და მულტიმილიონერის შვილი ჯ. ფ. კენედი (ასევე დღეს მოქმედი ჯ. ბუშიძ




◎ განსჯა

***ჩვენ ვცხოვრობთ ისტორიის ერთ-ერთ რთულ და დაძაბულ დროში. რეალურად ხდება არა ერთი ცდა, რელიგიათა თუ ცივილიზაციათა დასაპირისპირებლად. შესაბამისად აქტუალური ხდება ფართო ურთიერთთანამშრომლობა ხალხებს შორის, ახალი კავშირების ძებნა, მათი შემდგომი სრულყოფა და განვითარება, რისთვისაც საჭიროა ერთმანეთის უკეთ გაცნობა, შესწავლა ამა თუ იმ ერის ისტორიულად განვლილი გზისა და შესაბამისად შენი თავის წარდგენაც, შენი სიმართლის გატანაც საერთაშორისო ასპარეზზე. ურომლისოდაც შეუძლებელია ნებისმიერი პარტნიორობა ქვეყნებსა თუ ცივილიზაციათა შორის. მოდით გავიცნოთ ამერიკელები, უფრო სწორად ამერიკის პრეზიდენტები, რადგან პოლიტიკა ხალხთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მასში არ შეიძლება არ იყოს გათვალისწინებული ხალხის მენტალიტეტი, ცნობიერება თუ ნება, მით უმეტეს დემოკრატიულ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო სათავეში მოდიან ხალხის არჩეული პირები. რა თქმა უნდა, ძნელია რაღაც ზოგადი ან საშუალო მახასიათებლები გამოუნახო სულ სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა ისტორიულ ვითარებაში მყოფ გამორჩეულ და არაორდინალურ პიროვნებებს. ამიტომ არავითარ პრეტენზიას არ ვაცხადებ რაიმე სერიოზულ გამოკვლევაზე და მხოლოდ ზედაპირულად განვიხილავ მათი ბიოგრაფიების, ჩემი აზრით, თვალშისაცემ ფაქტებს და დეტალებს.***

## ძლიერნი ამა ქვეყნისანი, ანუ საით წავიდეთ?

*ყოველ ნიჭზე ძლიერია ქვეყნის დაცვის ნიჭი*

*გალაკტიონი*

ამერიკას არსებობის 220 წლის ისტორიის მანძილზე (1788-2007ძ 42 პროცენტი ჰყავს არჩეული. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი ერი წარმოადგენს რასებისა (შავკანიანების, თეთრკანიანების, ფერადკანიანებისძ და ერების ნამდვილ კონგლომერატს, ამერიკის 42-ივე პრეზიდენტი თეთრკანიანთა რასის წარმომადგენელია; ყველა მათგანი ანგლოსაქსია; ყველა მორწმუნეა, თანაც ყველა პროტესტანტი (ჯ. ფ. კენედის გამოკლებით, რომელიც კათოლიკე იყო. ამბობენ ამიტომ პატიობდნენ პიკანტურ თავგადასავლებს, თუმცა რჩეულებს რას არ პატიობს ხალხიძ. ამერიკელი ჟურნალისტების გამოკვლევით, არც ერთი ათეისტი კანდიდატთა სიაშიც კი არ ყოფილა, არა თუ პრეზიდენტად არჩეული. ესეც თქვენი „ულმერთო ამერიკა“ (პატრი დონ დამიანე სააკაშვილი ხშირად იტყოდა ხოლმე: ქვეყანას მორწმუნე ადამიანი უნდა მართავდესო — ლ. ასათიანიძ; ყველა მამრობითი სქესის წარმომადგენელი; ყველა დაოჯახებული და პირველ ქორწინებაში მყოფი. გამონაკლისი გახლდათ რ. რეიგანი, რომელიც მეუღლეს გაშორებული იყო გაპრეზიდენტებამდე დაახლოებით 25 წლით ადრე; არც ერთი ქალი, მიუხედავად იმისა, რომ ფემინისტური იდეები აქ დამოუკიდებლობის მიღებასთან ერთად აღიქვეს და დღესაც ფემინისტური მოძრაობის მედროშედ არის მიჩნეული მთელ მსოფლიოში (სხვათა შორის, წელს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ამერიკის მოსახლეობის 75 პროცენტს უნდა, რომ მომავალი პრეზიდენტი ქალი იყოსძ.

პრეზიდენტთა უმრავლესობა საშუალო ფენის წარმომადგენელია, თუმცა უღარიბესი ოჯახიდან და ობლობაშია გაზრდილი ე. ჯეკსონი, ასევე ჯ. ა. გარფილდი და მხოლოდ სამი მათგანი არის პოლიტიკურ-ინტელექტუალური წრიდან თ. რუზველტი, ფ. დ. რუზველტი და მულტიმილიონერის შვილი ჯ. ფ. კენედი (ასევე დღეს მოქმედი ჯ. ბუშიძ. თითოეულმა მათგანმა არც თუ ისე იოლად მიაღწია პრეზიდენტის სავარძლამდე. ფრანკლინ რუზველტი ბრწყინვალე კარიერის გზაზე 37 წლის ასაკში პოლიომილიტით დაავადდა და სამუდამოდ მიეჯაჭვა ინვალიდის სავარძელს. ფარ-ხმალი არ დაჰყარა და ჯერ შტატის გუბერნატორი გახდა, შემდეგ კი პრეზიდენტი.

უმძიმესი ბედი ერგო ჯ. კენედისაც. ის ხერხემლის განუკურნებელი დეფექტით დაიბადა, პატარაობიდანვე ხმარობდა სპეციალურ კორსეტს და სპეციალურ ფეხსაცმელს. ერთი ფეხი მეორეზე მოკლე ჰქონდა. გამუდმებით აწუხებდა ასთმისა და ალერგიის შეტევები, ლიმფური ჯირკვლები დაავადებული ჰქონდა.. ის სამხედრო სამსახურისთვის უვარგისად ცნეს და მამამისის გავლენა მხოლოდ იმისთვის გამოიყენა, რომ ფრონტზე წასულიყო. მეორე მსოფლიო ომის დროს იბრძოდა იაპონიის სანაპიროსთან სატორპედო კატერის მეთაურად. მისი მოხერხებულობისა და ვაჟკაცობის წყალობით გადარჩა ეკიპაჟის ყველა წევრი, რომლებიც აშკარა სიკვდილის წინაშე იდგნენ (მათი კატერი ჩაძირეს. მან დ როზე მოახდინა ეკიპაჟის ევაკუირება. 16 საათი იაპონიის წყლებში მიცურავდნენ, სანამ მაშველებმა არ აღმოაჩინესძ, დაბრუნებისთანავე დაწერა შესაშინავი გამოკვლევა ამერიკის ისტორიის შესახებ, რაშიც ამერიკელი ჟურნალისტების უმაღლესი ჯილდო მიაკუთვნეს, ავადმყოფობები კი პროგრესირდებოდა, 31 წლის ასაკში ლონდონში შეტევის დროს დაუსვეს უმძიმესი დიაგნოზი და განაჩენი — 1 წლის სიცოცხლე. ამის მიუხედავად, აგრძელებს ბრძოლას, ხდება ჯერ სენატორი, ხოლო შემდეგ ამერიკის ყველაზე ნიჭიერი, ყელაზე პოპულარული და ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი. მან დ. ეიზენჰაუერის დროინდელი უძრაობის პერიოდი შეცვალა ოპტიმიზმით, ენერგიით და ინტელექტუალურ ძალთა არნახული გაქანებით. თავის ირგვლივ შემოიკრიბა ინტელექტუალთა ჯგუფი და მოუწოდა ერს ახალი მიჯნების დასაპყრობად. გააცოცხლა მისი გმირული წარსულის რომანტიული იდეალები. უდიდესი სახელმწიფოებრივი სიბძრნე გამოიჩინა კარიბის კრიზისის დროს, გადადგა კომპრომისული ნაბიჯი თავისი პოპულარობის ზიანის ფასად. ამიტომაც უწოდებდნენ მას სუპერ-ვარსკვლავ პრეზიდენტს (მას ისეთი ძლიერი ზურგის ტკივილები ჰქონდა, რომ ძირს დავარდნილი ფანქრის აღება არ შეეძლო და მდივანს ეძახდა. ყავარჯენს ხმარობდა გადაადგილებისას, მაგრამ არა სხვების დასანახად. ეს ტკივილები, თვითშეზღუდვა, ყველაფერი კადრს უკან რჩებაძ და მოკვდა, როგორც ნამდვილი ჯარისკაცი, ტყვიით განგმირული და არა საოპერაციო მაგიდაზე.

არც ამერიკელი ხალხის ისტორიული გზა იყო ია-ვარდებით მოფენილი. მათ გადაიტანეს სამოქალაქო ომების ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლები, იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის ესპანელების, ადგილობრივი ტომების თუ ინგლისელების წინააღმდეგ. ამერიკელები თავის 42 პრეზიდენტიდან გამოარჩევენ ჯონ ფიცჯერალდ კენედის, ფრანკლინ დელანო რუზველტს, თეოდორ რუზველტს, ან ლინკოლნს, თ. ჯეფერსონს და ამერიკის პირველ პრეზიდენტს ჯორჯ ვაშინგტონს. ჯ. ვაშინგტონი უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა ხალხში, ამიტომ მას „ქვეყნის მამა“ უწოდეს. ის იყო ამერიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, ბრძოლებში გამობრძმედილი ნიჭიერი სარდალი და გამარჯვების მთავარი ორგანიზატორი, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლების ხელმძღვანელი. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მას ოფიცრების ჯგუფმა წინადადება მისცა დაედგა გვირგვინი და მეფე გამხდარიყო, მაგრამ მან ცივი უარით გამოისტუმრა ისინი. მისი პრეზიდენტობის დროს მიიღეს ქვეყნის კონსტიტუცია, რომელიც დღემდე უცვლელად (!ძ მოქმედებს.

არანაკლებ გამორჩეული პიროვნება იყო თომას ჯეფერსონი — „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ და „ბილი უფლებების შესახებ“-ის ავტორი (ამ დანამატებმა მკვეთრად შეზღუდა ხელისუფლების ძალაუფლება და განამტკიცა პიროვნების უფლებები და სამოქალაქო თავისუფლებაძ. „ბილი“ უმაღლეს საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს და ქვეყნის კონსტიტუციის მსგავსად, ისიც უკვე 2 საუკუნეზე მეტია უცვლელად მოქმედებს (!ძ.

უდიდესი დამსახურება მიუძღვით ქვეყნის წინაშე თეოდორ რუზველტს, რომელმაც აშშ-ს მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოებს შორის დაუმკვიდრა ადგილი და აბრაამ ლინკოლნს, რომელმაც განამტკიცა ქვეყნისა და ხალხის ერთობლიობა. ასევე ძლიერი და საკმაოდ პოპულარული იყო რ. რეიგანი, ხოლო ბილ კლინტონს ადარებენ ჯონ კენედის.

უცილობლად უნდა ვახსენოთ ბენჯამენ ფრანკლინი (1706-1790ძ ბრწყინვალე დიპლომატი, მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე. მასზედ ხუმრობით წერდნენ — „ბ. ფრანკლინი ერთადერთი პრეზიდენტია, რომელსაც არასოდეს ეკავა პრეზიდენტის პოსტი“. მისი უდიდესი ძალისხმევის შედეგად დაიდო ხელშეკრულება საფრანგეთთან, რომლის თანახმად ამერიკამ საფრანგეთისგან მიიღო არა ერთი გრძელვადიანი კრედიტი, სურსათი, ტანსაცმელი, სამხედრო ძალა, რომელთაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს იორკტაუნთან ინგლისელებზე ამერიკელების გამარჯვებაში. მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღო ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებაში და კონსტიტუციის პროექტის დამუშავებაში. იცოდა რა პოლიტიკური მოღვაწეობის სირთულეები, არასოდეს დაუთმია შემოქმედებითი თავისუფლება და არ უბრძოლია პრეზიდენტობისათვის (სხვათა შორის, არც ჯ. ვაშინგტონს უნდოდა პრეზიდენტობა. ის იძულებული გახდა შექმნილი ქაოსური მდგომარეობის გამო ჩასდგომოდა სათავეში ქვეყანასძ. ბ. ფრანკლინს უნდოდა, რომ „ბოროტი არწივის მაგივრად ამერიკის გერბზე გამოსახული ყოფილიყო კეთილი ინდაური!“

ამერიკის პრეზიდენტებს შორის ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტად ითვლება ჯონ ფიცჯერალდ კენედი (44 წელიძ, ყველაზე ასაკოვნად რონალდ რეიგანი (70 წელიძ, (მეორედ აირჩიეს 74 წლის ასაკშიძ. აქ ყურადსაღები ერთი ფაქტია. თეოდორ რუზველტი (1858-1919ძ 43 წლის ასაკში გახდა აშშ-ს პრეზიდენტი. რადგან ის არჩევნების შემდეგ კი არ მოვიდა, არამედ ვიცე-პრეზიდენტობის პოსტიდან დაწინაურდა, ამიტომ ჯ. ფ. კენედს თვლიან ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტად. მძაფრ კონკურენტებთან ბრძოლაში გამარჯვებულს თვლიან და არა თანამდებობის ხაზით დაწინაურებულს.

თვალის ერთი გადავლებით მიღებული შთაბეჭდილებით, ამერიკელი ამომრჩევლები საკმაოდ კონსერვატულებად გამოიყურებიან. მიუხედავად იმისა, რომ აშშ რევოლუციის, ხანგრძლივი სამოქალაქო ომებისა და დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულ

იხ. 8 გვ.

◎ ინფორმაცია

### მსახიობი პოლიტიკაში

**მსახიობი ნინო ბურდული პოლიტიკაში მიდის.**

**კინოსა და თეატრის ცნობილი მსახიობი პოლიტიკური მოძრაობა „საქართველოს გზის“ წევრი გახდება.**

**როგორც ნინო ბურდულმა განაცხადა, მან აღნიშნული გადაწყვეტილება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების გამო მიიღო.**

**— სურვილი მაქვს, გავლენა მოვახდინო ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაზე და მხოლოდ კომენტარებით, საკუთარი აზრის გამოთქმით არ შემოვიფარგლო, — აღნიშნა ბურდულმა.**

**მისივე თქმით, ქართულ რეალობაში რამდენიმე პარტიაა, რომლის მიმართ გარკვეული სიმპათიები აქვს, თუმცა „საქართველოს გზა“ კონკრეტული მოსაზრების გამო აირჩია.**

### ზარალის ანაზღაურებას მოითხოვენ

**„კონსერვატიული პარტია“ ხელისუფლების მიერ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს.**

**როგორც კონსერვატორებმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, ქვეყნის გარედან ეკლესიის წინააღმდეგ მიზანმიმართული კამპანიაა დაწყებული.**

**კონსერვატორთა ერთ-ერთი ლიდერის კახა კუკავას განცხადებით, კონსერვატორები აჭარის პარლამენტისა და ხელვაჩაურის საკრებულოსაგან ფერიის მთაზე მშენებარე ტაძრის დემონტაჟით მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხს აყენებს.**

**„აჭარის პროკურატურისაგან მოვითხოვთ, ახალი გარემოება გაითვალისწინოს და ფერიის მთის ინციდენტთან დაკავშირებით, გიგა ბოკერია დაკითხოს“, — განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.**

**საპატრიარქოს ტელევიზიის ხელმძღვანელის გიორგი ანდრიაძის განცხადებით, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებული საკონსტიტუციო შეთანხმება რეალურად ცხოვრებაში არ ხორციელდება.**

**მისივე თქმით, უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც ზარალის ოდენობას დაადგენს.**

**კონსერვატორები შესაბამისი თანხების საბიუჯეტო ხარჯებში გათვალისწინებას მოითხოვენ.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 194. სამშაბათი, 9 ოქტომბერი, 2007 წელი.

● შემომაქვს წინადადება: მინიმუმ 45-50 წლით შემოისაზღვროს ქვევიდან პრეზიდენტობის კანდიდატთა ასაკი



◉ განსჯა

# ძლიერნი ამა ქვეყნისანი, ანუ საით წავიდეთ?

(მეშვიდე გვერდიდან)

ძიებაში იშვა, პირველად არჩეული პრეზიდენტის საშუალო ასაკი 57-61 წელია, ანუ არიან საკმაოდ გამოცდილი და ცხოვრებაში გამობრძმედილი პიროვნებები. მათ უკან არის გმირული თავდადება და განსაკუთრებული დამსახურება თავის ქვეყნისა და ხალხის წინაშე (იხ. ცხრილები ისრაელის, დასავლეთ ევროპისა და საქართველოს პოლიტიკოსებისძ. გამოდის, რომ ჩვენგან განსხვავებით, მათთან ცხოვრებაში გამოცდილი კაცი უფრო ფასობს. ამერიკელ ხალხს აქვს ქვეცნობიერების დონეზე საკმაოდ ტრადიციული კონსერვატული აღქმა პირველი პირისა, როგორც ქვეყნის სიმბოლოსი. ეს არის ე. წ. ამერიკანიზმი – ძვალ-რბილში გამჯდარი და აბსოლუტურ დონეზე აყვანილი პატრიოტიზმი, რწმენა ქვეყნის განსაკუთრებული როლისა და ერის გამორჩეული დანიშნულების შესახებ, თავდაჯერება ხალხის სამეწარმეო საქმის გენიალობისა პლუს ოპტიმიზმი, ენერგიულობა და დინამიზმი.

ამერიკელები განსაკუთრებით პატივს სცემენ პიროვნებას, რომელიც არის Self man _თავისი ბედის შემქმნელი) და პატივს სცემენ მის პიროვნულ თვისებებს და არა მის წარმომავლობას თუ წინაპრების დამსახურებას. პრუდონი ამბობდა: „მე მყავს 14 წინაპარი გლეხთა შთამომავლობა. დამისახელეთ თუნდ ერთი ოჯახი, რომელსაც ამაზე უფრო კეთილშობილი წინაპრები ჰყავდესო“ (ჩვენგან საპირისპიროდ, რამდენიმე წუთით დაელაპარაკეთ ნებისმიერ ქართველს და ყველა წვეთი წყალივით ერთი და იგივეზე დაგიწყებთ ლაპარაკს, უფრო სწორად ტრაბახს, რომ მისი წინაპრები იყვნენ ან მთავრები ან, უკანასკნელ შემთხვევაში, თავადები და სიტყვას არ დასძრავს იმაზე თუ თვითონ ან მისი შვილები ვინ არიან და რა გაუკეთებიათ ქვეყნის საკეთილდღეოდ, ანუ ცხოვრობს ეფემერული წარსულითძ. და კიდევ მნიშვნელოვანი დეტალი – კირკიტა ჟურნალისტების მიერ სკურპულოზური გამოკვლევებით დადგენილია, რომ ამერიკის არც ერთ პრეზიდენტს, მიუხედავად სოციალური წარმოშობისა, სახელმწიფოს ხაზინიდან არც ერთი ცენტი არ მიუთვისებია. ამერიკის საზოგადოება ადვილად არ პატიობს თავის რჩეულებს შეუფერებელ საქციელს (გავიხსენოთ ნიქსონის მაგალითიძ. ისინი პირდაპირ რენტგენის სხივების დონეზე მუდმივად კონტროლის ქვეშ არიან, როგორც კონკურენტი პარტიის მხრიდან, ასევე მაკონტროლებელი ორგანოებისა და ჟურნალისტების მხრიდან, რომლებიც მიზეზს არ გაუშვებენ, რომ კბილი არ გაჰკრან სკანდალურ საქმეს (ეს არის მათი საარსებო საშუალებაძ. „ხელისუფლების სათავეში დგომა სულაც არ ნიშნავს სახელმწიფო ნაზუქთან მოკალათებას!“ – სტალინი.

ამის საპირისპირო სურათს წარმოადგენს დღევანდელი აფრიკის კონტინენტი. ფრანგი, ინგლისელი, გერმანელი ჟურნალისტების თანახმად მთელ აფრიკის კონტინენტზე ქვეყანას ვერ ნახავთ, სადაც სახელმწიფოს მეთაურიდან დაწყებული ჩინოვნიკით დამთავრებული თავის თანამდებობას შემოსავლის წყაროდ არ იყენებდეს (თურმე მარტო ჩვენ არ ვყოფილვართ ჭკვიანები ამ ქვეყანაზეძ. ევროპის ვერც ერთ ქალაქში ვერ ნახავთ იმდენ ძვირადღირებულ მანქანას თუ ფეშენებელურ სასტუმროს, როგორიც არის აფრიკის ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიღატაკეში სულს ღაფავს. კონტინენტზე გამეფებულია კორუფცია, ქრთამი, უსამართლობა, დაუსჯელობის სინდრომი, ტომობრივი სეპარატიზმი და საყოველთაო აპათია, სადაც ადამიანის ნიჭს, განათლებას, ღირსებას და თვით სიცოცხლეს არავითარი ფასი არ გააჩნია. ამიტომ შტეფან სმიტმა თავის წიგნს აფრიკის შესახებ „ნეკროლოგი“ უწოდა (ფერი ფერსა მადლი ღმერთსა, იქნებ ევროპის მაგივრად აფრიკის კავშირში შევსულიყავით! თვალისდახამხამებაში მიგვიღებდნენ, ევროპელებივით პრეტენზიებს კი არ წამოგვიყენებდნენ და კარს უკან კი არ ვგაყურყუტებდნენ. მერე რა რომ შავები არიან, სამაგიეროდ გული, ცნობა და გონება ერთნაირი გვქონია, აღარ დაგვჭირდება ტყავში გაძვრომა და ათასნაირი მტკიცებულებანი!ძ. ისე საპირადო საქმის გამოწყობა საზოგადო სახელით დიდი ხერხია. ამ მხრივ ნიჭიერები ვართ „ახალი ქართველები“.

დავუბრუნდეთ ამერიკას. მიუხედავად იმისა თუ რა განათლება აქვთ მიღებული პრეზიდენტებს, ყოველი მათგანი ბოლოს პოლიტიკოსი ხდება და მაინც უმრავლესობას იურისტები წარმოადგენენ (დაახლოებით 60 პროცენტიძ. თუ XVII-XX საუკუნეში ძირითადად საშუალო განათლებით კმაყოფილდებოდნენ, პრეზიდენტობის კანდიდატისათვის XX საუკუნიდან უკვე აუცილებელია უნივერსიტეტის (თანაც პრესტიჟულისძ დიპლომი. ხოლო დემოკრატიული პარტიის კანდიდატებს ამასთან ერთად მოეთხოვება მაღალი ინტელექტუალური კოეფიციენტი. აქაც გამონაკლისია რ. რეიგანი, რომლის კოლეჯის დიპლომმა ხელი არ შეუშალა უძლიერეს პრეზიდენტად აღიარებაში.თვალში საცემია გენერლების რაოდენობა, 42 პრეზიდენტიდან 11 გენერალია. გენერალი იყო აშშ-ს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, 57 წლის პირველი პრეზიდენტი ჯ. ვაშინგტონი. თუ გადავხედავთ მეოცე საუკუნის გამორჩეული პოლიტიკოსების პორტრეტების გალერეას, აქაც სამხედროების სიმრავლეა. გენერალი ფრანკო, გენერალი დე გოლი, გენერალი (შემდეგ მარშალიძ ქემალ ათათურქი, გენერალი (შემდეგ მარშალიძ ბროზ ტიტო და ა. შ. თვით უ. ჩერჩილსაც კი სამხედრო აკადემია ჰქონდა დამთავრებული და 1896-1900 წლებში დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა, იბრძოდა ინდოეთსა და აფრიკაში (ცნობილია, კლასიკურ ნეიტრალურ შვეიცარიაში თვით ბანკის მმართველად არ დანიშნავენ პიროვნებას, თუ მას არა აქვს ოფიცრის წოდებაძ. და კიდევ ერთი კანონზომიერება, როცა ქვეყანაში შექმნილ კრიტიკულ სიტუაციაში ხელისუფლების სათავეში მოდიან ახალგაზრდები, ეს ხალხს საკმაოდ ძვირი უჯდება. გავიხსენოთ 29 წლის ნაპოლეონი და 34 წლის რობესპიერი, 32 წლის მუსოლინი, 43 წლის ჰიტლერი და ა. შ. მეორეს მხრივ ეროვნულ-განმათავისუფლებელი თუ წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერთა უმეტესობა არიან ხალხის ჭეშმარიტი ღირსეული და გამორჩეული პიროვნებები. ამაზე მეტყველებს მათი ტიტულები და სახელები: ჯავაჰარლალ ნერუ – „ახალი ინდოეთის მშენებელი“, ჯორჯ ვაშინგტონი – „ქვეყნის მამა“, ქემალ ათათურქი – „თურქების მამა“, კანცლერი დ. ერჰარდი „გერმანელი ეკონომიკური სასწაულის მამა“. გენერალი დე გოლი ყველა დროის 10 გამორჩეული ფრანგის სიაშია შეყვანილი ფრანგი ხალხის მიერ. ასეთივე პოპულარული და აღიარებულნი იყვნენ ჩერჩილი, რუზველტი, ბროზ ტიტო და ა. შ. (ისე, საინტერესოა, რის „მამად“ უნდა მივიჩნიოთ თითქმის 30 წლის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის პირველი პირი და საყოველთაოდ აღიარებული ლიდერი ე. შევარდნაძე? სიტყვა თქვენზეა, მკითხველო!ძ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ თუ შევადარებთ ქართველ ლიდერების (რა თქმა უნდა, არასრულყოფილ და ზერელე) სიას, აშკარად თვალში საცემია შემდეგი: თუ ამერიკელი პრეზიდენტების საშუალო ასაკი 58 წელია, ქართველი ლიდერებისა შესაბამისად 39 წელია.

ამიტომ შემომაქვს წინადადება: მინიმუმ 45-50 წლით შემოისაზღვროს ქვევიდან პრეზიდენტობის კანდიდატთა ასაკი. როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, ოპტიმალურია 55-65 წელი, ანუ ყველგან, ყოველ დროში გამოცდილი კაცი უფრო მეტად ფასობს. თანაც პარადოქსულია, რომ ჩვენი ლიდერთა უმრავლესობა პარტიული მუშაკები არიან, ანუ პარადოქსულია, რომ ჩვენ ლიდერთა უმრავლესობა პარტიული მუშაკები არიან, ანუ პარტოკრატიაა გამეფებული. იმისათვის, რომ პარტიულ აპარატში მიაღწიო წარმატებას, უსათუოდ საჭიროა მანევრირების უნარი და მაქსიმალური შეგუებლობა არსებულ ჩარჩოებში, მაშინ როცა ლიდერობა მოითხოვს ახალი ჩარჩოების შექმნას, ახალ სტრატეგიას, რომელიც შექმნის ახალ შესაძლებლობებს.

პერმანენტული ომების ისტორიის და გამორჩენილი მხედართმთავრების ქვეყანაში თითქმის არა გვყავს მაღალი რანგის სამხედრო ლიდერი, არადა, „ქართველნი ვართ ნათესავნი მხნენი და მხედრობით აღზრდილნი და მარადის ჭირვეულობასა ცხოვრებისა ჩვეულნი (გრიგოლ ბაკურისძეძ. აქ არ შეიძლება გაკვრით მაინც არ მოვიხსენიოთ ჩვენი წინაპრები: ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, გიორგი XI, მამაშვილი ლუარსაბ I და სვიმონ I, გიორგი სააკაძე, მეფე ერეკლე, პეტრე ბაგრატიონი და ა. შ. ჩვენი მეფეები არა მარტო ბრწყინვალე მხედართმთავრები იყვნენ, არამედ უბადლო მეომარნი, სამხედრო ხელოვნების ნამდვილი ოსტატები. ევროპელი თუ სხვა ქვეყნების საჭესმპყრობელებისაგან განსხვავებით, ჩვენს ქვეყანაში მტრებზე პირველი მოიერიშენი, მხედრები და ჯარისკაცები სწორედ მეფეები და უფლისწულები იყვნენ.

**მედეა თავდიშვილი**

| № | [illegible] | [illegible] | [illegible] | ასაკი | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | 1732 – 1799 | 1789 | 57 | * |
| 2 | [illegible] | 1735 – 1826 | 1797 | 62 | |
| 3 | [illegible] | 1743 – 1826 | 1801 | 58 | დ |
| 4 | [illegible] | 1751 – 1836 | 1809 | 58 | დ |
| 5 | [illegible] | 1758 – 1831 | 1817 | 59 | დ |
| 6 | [illegible] | 1767 – 1848 | 1825 | 58 | |
| 7 | [illegible] | 1767 – 1845 | 1829 | 62 | დ * |
| 8 | [illegible] | 1782 – 1862 | 1837 | 55 | |
| 9 | [illegible] | 1773 – 1841 | 1841 | 68 | * |
| 10 | [illegible] | 1790 – 1862 | 1841 | 51 | |
| 11 | [illegible] | 1795 – 1849 | 1845 | 50 | |
| 12 | [illegible] | 1784 – 1850 | 1849 | 65 | * |
| 13 | [illegible] | 1800 – 1874 | 1850 | 50 | |
| 14 | [illegible] | 1804 – 1869 | 1853 | 49 | * |
| 15 | [illegible] | 1791 – 1868 | 1857 | 66 | |
| 16 | [illegible] | 1809 – 1865 | 1861 | 52 | |
| 17 | [illegible] | 1808 – 1875 | 1865 | 57 | |
| 18 | [illegible] | 1822 – 1885 | 1869 | 47 | დ * |
| 19 | [illegible] | 1822 – 1893 | 1877 | 55 | * |
| 20 | [illegible] | 1831 – 1881 | 1881 | 50 | |
| 21 | [illegible] | 1830 – 1886 | 1881 | 51 | * |
| 22 | [illegible] | 1837 – 1908 | 1885 | 48 | |
| 23 | [illegible] | 1833 – 1901 | 1889 | 56 | * |
| 24 | [illegible] | 1837 – 1908 | 1893 | 56 | |
| 25 | [illegible] | 1843 – 1901 | 1897 | 54 | |
| 26 | [illegible] | 1858 – 1919 | 1901 | 43 | დ |
| 27 | [illegible] | 1857 – 1930 | 1909 | 52 | |
| 28 | [illegible] | 1856 – 1924 | 1913 | 57 | დ |
| 29 | [illegible] | 1865 – 1923 | 1921 | 56 | * |
| 30 | [illegible] | 1872 – 1933 | 1923 | 51 | დ |
| 31 | [illegible] | 1874 – 1964 | 1929 | 55 | |
| 32 | [illegible] | 1882 – 1945 | 1933 | 51 | დ |
| 33 | [illegible] | 1884 – 1972 | 1945 | 61 | დ |
| 34 | [illegible] | 1890 – 1969 | 1953 | 63 | დ * |
| 35 | [illegible] | 1917 – 1963 | 1961 | 44 | |
| 36 | [illegible] | 1908 – 1973 | 1963 | 57 | დ |
| 37 | [illegible] | 1913 – 1994 | 1969 | 56 | დ |
| 38 | [illegible] | 1913 | 1974 | 61 | |
| 39 | [illegible] | 1924 | 1977 | 53 | |
| 40 | [illegible] | 1911 – 2004 | 1981 | 70 | დ |
| 41 | [illegible] | 1924 | 1989 | 65 | |
| 42 | [illegible] | 1946 | 1993 | 46 | დ |
| 43 | [illegible] | 1946 | 2001 | 55 | დ |

[illegible]

ქართველ ლიდერთა სია

| № | გვარი, სახელი | დაბადების წელი | ხელისუფლების სათავეში | ასაკი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ასათიანი აკაკი | 1953 | 1991 | 38 |
| 2 | ბერია ლავრენტი | 1899 | 1931 | 32 |
| 3 | ბურჯანაძე ნინო | 1964 | 2003 | 39 |
| 4 | გამსახურდია ზვიადი | 1939 | 1991 | 52 |
| 5 | გეგეჭკორი ალექსანდრე (საშა) | 1887 | 1921 | 34 |
| 6 | ორახელაშვილი ივანე | 1881 | 1921 | 42 |
| 7 | ორჯონიკიძე გრიგოლ (სერგო) | 1886 | 1921 | 35 |
| 8 | ჟვანია ზურაბი | 1963 | 1995 | 32 |
| 9 | ჟორდანია ნოე | 1863 | 1918 | 55 |
| 10 | რამიშვილი ნოე | 1881 | 1918 | 37 |
| 11 | სააკაშვილი მიხეილ | 1967 | 2004 | 37 |
| 12 | შევარდნაძე ედუარდი | 1928 | 1972 | 44 |
| 13 | ჩარკვიანი კანდიდ | 1907 | 1938 | 31 |

საშ. ასაკი 39 წელ[illegible]

# წუთისოფელი

● ბურსას ციხიდან გაიქცა თუ გააქციეს, არ ვიცი, მაგრამ, 1951-ში, ნაზიმი მოსკოვში აღმოჩნდა. იმავე წლის ზაფხულის მიწურულს, გემ „გრუზიათი", სოჭიდან ბათუმს ეწვია, ერთი დღით (ის ციხიდან ჭლექშეყრილი გამოვიდა. თან მოსკოველი ექიმი ქალი ახლდაძ



## ◎ გულწრფელი წიგნი

### ფრიდონ ხალვაში

# ომარი

### დოკუმენტური მოთხრობა



აგვისტოს ის ღამე, მამისეული ფაცხა და ძველ სექვზე, ძველ, არდაჰანულ ხალზე დაგებული ლოგინი და ჩვენი წოლა და თუნთულის ჩახურჩულება – გამოსკოველდი? ახლაც მიბჟუის ყურებში: „ნამეტარი გასოფლელებული, ჩემისთანაი, აღარ მოგწონს. ჰო, ჰო, აღარ მოგწონს", პერანგის კალთის ბოლოზე მიკრობილი ლობიას ფოთოლი ხრაშუნით აიძრო, მალე, აბუშტული, იქვე ლეიბისქვეშ შეპეჭა. პასუხგაუცემი საყვედურები დარჩნენ იმ სექვზე, იმ ხალზე, იმ ლოგინში.

მეორე შემოდგომა (აგვისტოს მიწურულს ხომ ისევ მოსკოვს წავედიძ პერედელკინოდან ტვერსკოის ოცდაათში გადმოვედით.

„საახალწლოდ არნა ჩამოხვიდე? ორსულობასნა ვუშველო... რაღაის ესაა, ოზდათორმეტი წლის ქალს... კიდო გოგოს სიზმარი ვნახე... მრმწერა. – „არა, არა!.. ცოდვა არ ჰქნა (ვწერძ. ღმერთმა სიცოცხლე გვაჩუქა, არ ჩაიდინო... გეხვეწები. მე კაი სიზმრები მაქვს..."

მაისია. ლექციაზე ვართ, გორკის ლიტინსტიტუტის ერთ დარბაზში, შუა ლექციისას მდივანი ქალი ირა ბორისოვნა შემოაღებს კარს.

– ტოვარიშჩ ხალვაში, ვამ ტელეგრამმა!

მოკეცილი. ერთ ალაგას, ფრჩხილიხელაზე, დაწებილი. გული ძიგძიგებს. დაიბადა ალბათ... გავხსენი. რუსულანბნებიან მძრძალ სტრიქონში, ერთ ალაგას, თვალმა, აშკარად, გამორჩეულად, ნამდვილად, ამოკენკა ერთადერთი სიტყვა, ყოვლისმომცველი, ძლიერი, თბილი და ლამაზი, – сына... პარმენ ლორია მატყობინებდა. ელოდებიან ჩემგან ბიჭის სახელს. ავდექი (ავყვირდიძ. ავაფრიალე ქაღალდი. ლექცია გაჩერდა, ჩაიშალა. მილოცავენ, ყველა ენაზე მილოცავენ. შესვენება ცხადდება. გავვარდი ჩემს ოთახში. ჭაჭა მქონდა. ბოთლით მოვარბენინე.

მოიცა, ეს რაა. ჩვიდმეტ მაისს? ჩემი დაბადების დღეს? მამის გარდაცვალების დღეს?!

ღმერთო, დაილოცოს შენისახელი!

სასტუმრო „სოვეტსკაიაში" მწერალთა საკავშირო პლენუმზე გოგლა ლეონიძეა, ვიცი. ვურეკავ ბათუმელ გრიშა ჯორბენაძეს (მიშა ქვლივიძე კი, იქ, მწერალთა პლენუმზე იქნებაძ მივჯოლგდით. „კაკრაზ" შესვენებაა. კიბეზე ჩამოდიან. ვცნობ ლეონიძის მძიმე-მძიმე ჩამობიჯებულ-ჩამომავალ ფეხებს. ვეგებები.

– ბატონო გიორგი! ბიჭი მყავს. სახელი მინდა (იქვე, რესტორანში ვართძ, ხომ დამპირდით... სახელი მინდა, ბიჭია...

– ჰო, ჰო, ბიჭი, ბიჭი!.. – ჩამკოცნა, მივუჯექით მაგიდას.

– ზაზა იყოს!.. ფანასკერტელი ზაზა, ხომ იცი, იქაურია, თქვენებურია. იყო! დიდი, წმინდა კაცი!

გაიგზავნა დეპეშა დასარქმევი სახელით, დიდი ნათლიას ხელმოწერით. „მნათობიდან" მიღებულ ჰონორარს რა ხანი ამიზა ვინახავდი. გავაშლევინე სუფრა (უნდა გადავირიო, დავხარჯოძ.

ღვინო ლიტრიან ბოთლებში – „რუსული", კრასნოდარული. არ იწუნებს გოგლა. თავადვე თამადობს. ეტყობა, მომდევნო სხდომაზე დასწრებას აღარ აპირებს.

მიშა ქვლივიძე და გრიშა ჯორბენაძეც აქ არიან. მაისის 18-ია, 1957 წლისა. (ამაზე პასუხს ვაგებ – არ ვცდები!ძ უბედნიერესი დღე ჩემი არსებობისა! რას შევადარო ის სიხარული? იქნებ ნობელის პრემიის მონიჭებისნაირად ჩავთვალოთ? არა, ეს როგორ, ბიჭი-შვილი და პრემია ერთმანეთს რითი შეედრება? შედარებაც ცოდვაა.

ბატონმა გიორგიმ, როგორც შევნიშნე, გასინჯა თუ არა ღვინო, ის ოდნავ მჟავიანი რუსული თეთრი, წარმოიდგინეთ, მოიწონა (მომცრო ჭიქით მხოლოდ სასინჯად გადაჰკრა.ძ აი, ეს, ლიტრიანში რომაა, კარგია, რა ხანია ასე ტევად ბოთლში ჩამოსხმული აღარ მინახავსო. გაივსო თავისით ჭიქა კიდევ. შეგვათვალიერა. იმხელა, ზვინივით კაცი წამოდგა. ჭიქა მაღლა ასწია. სახეზე დიდი, ლაზათიანი, მარტო მისეული, უზომო ღიმილი გადაივლო და წარმოთქვა. ახალი ქართველის დაბადება. აჭარის შვილი ქართველისა. დაულოცა მომავალი და ამით ადიდა მომავალი საქართველოსი.

ჩვენ, სავსე ჭიქებით ხელში, ვიდექით და სიყვარულით ვუსმენდით დიდ კაცს, გიორგი ლეონიძეს... მთელი რესტორანი ფეხზე იდგა. ჩვენკენ იცქირებოდნენ. მერე სხვა მაგიდებისკენ, სხვებისკენაც გაიხედა თამადამ. როგორც კი იქით მიიხედა, ვიღაცა იქიდან მიესალმა. გადმოიხარა ჩემკენ გოგლა, ჩამიჩურჩულა, – მაგი ალექსანდრე პროკოფიევია, ლენინგრადელი პოეტი. ხომ არ გავუგზავნოთ ერთი ბოთლი. დავუძახე ოფიციანტს. მაგრამ პროკოფიევი თავად მოგვადგა. სქელი, პირზე ოფლდასხმული. ძლივს სუნთქავდა. ღვინოს ცერად შეხედა. მოვატანინე „ვოდკა". ასი გრამი ისე დალია, მეგონა ჭიქიანა ისროლა პირში-მეთქი. გოგლას ბევრჯერ დავურიგებივარ, – არაყს და მისთანებს ერიდე, ღვინო არ დაგალალატებს. სხვა ყველაფერი საწამლავიაო.

ახლა, აქეთ, მოშორებულად, ტიხონოვი და ანტოკოლსკი დაინახა, შემომხედა, გავუგზავნე ორი ლიტრიანი „რუსული". „საკარტველოს გაუმარჯოსო" – გამოგვძახეს. თითო დალიეს და ზარის ხმაც გაისმა. აიკრიბნენ „მოძმე ლიტერატურათა" კლასიკოსები და ახალი სხდომისაკენ გაემართნენ.

– მაგენი სხდომაზე, მე – სომაზეო, – თქვა ლეონიძემ. ისე ჯანმრთელად ჩაიროხროხა, სუფრა შეზანზარდა.

ტიხონოვმა ჩამოიარა ჩვენთან. ლეონიძეს ხელი შემოხვია. „ტი ზანიატ ბოლეე ვაჟნიმ დელომ... პრადალჟაი" – და წავიდა. – კარგად გვითხრა. გავაგრძელოთ ჩვენი, – უფრო სერიოზული საქმე. – და გააგრძელა.

ბოლოს, კენჭისყრა გამართულა, ზემოთ დაუძახეს.

იქიდან, ჩვენ, ბიჭები, ე.წ. „პარკ ერმიტაჟის" რესტორანში წავედით. თქვეს, იქ გათენებამდე არ იკეტებაო.

და, მართლაც გავათენეთ.

დილით, ტაქსისთვის გრიშას ასმანეთიანი გავუწოდე. არაო, გაიქნია ხელი, არ იკადრა აღება. ამაზე მიშა ქვლივიძე გაჯავრდა. მივიდა, მხარბეჭით მიჯინქვა, – გაძლევენ, აიღე შე ასეთოისეთოო. გაწითლდა გრიშა. ჩაჯდა. ფული შოფერს მივეცი. ყველანი წავიდნენ, მე და ჩემი სიხარული დავრჩით, ერთად.

## ფიქრი ნაზიმ ჰიქმეთთან

ერთად, მგონი, უკვე, როგორღაც, სიტყვის ნაჩქარევი გადაკვრით, ვახსენე ბურსას ციხეში მყოფი ნაზიმ ჰიქმეთის ლექსი „შიმშილობის მეხუთე დღე", რომელიც „ლუმანიტედან" „ლიტერატურნაია გაზეტას" მიერ გადმოღებული, 1946 წელს, ჯერ კიდევ სოფელში, ვთარგმნე და „საბჭოთა აჭარაში" დავბეჭდე. (აქ ერთი წლით უკან წავალ. ასე წარმემართა სიტყვა. მეპატიოს!ძ.

რად მეწვოდა? თითქოს ახლობლურადაც განვიცდიდი თურქი პოეტის, გინდაც საკმაოდ დიდის, პირად უბედურებას. ჩემი ქართული კუთხის დამპყრობელის შვილი თუ ასე კეთილშობილი, საყოველთაოდ აღიარებული, წამებული გმირი იქნებოდა, ამით თითქოს ჩემს ბნელ წარსულსაც, რომელმაც ეროვნულ ცივილიზაციას მომგლიჯა, რაღაც სასიკეთოობის ერთი ღერი სხივი მაინც გადაევლებოდა და მეგონა, ამის გამო, ითქმებოდა, – იმ ბოროტთა წიაღშიც, ვისი ტყვეც ამ საუკუნეს ვიყავით, ადამიანური გენიის ჩქოლა (ნერგიძ გახარებულაო.

ბურსას ციხიდან გაიქცა თუ გააქციეს, არ ვიცი, მაგრამ, 1951-ში, ნაზიმი მოსკოვში აღმოჩნდა. იმავე წლის ზაფხულის მიწურულს, გემ „გრუზიათი", სოჭიდან ბათუმს ეწვია, ერთი დღით (ის ციხიდან ჭლექშეყრილი გამოვიდა. თან მოსკოველი ექიმი ქალი ახლდაძ.

„ინტურისტთან" სურათი გადავიღეთ. ის, მაღალი, ქერა, ცისფერთვალება, შუაშია. გრძელი „პლაში" აცვია. ფერფლისფერი ქოჩორი უხდება.

და, აი, 1956 წლის თოვლიანი შემოდგომის ერთ მიმწუხრზე, მოსკოვის მახლობელ პერედელკინოში, „ჰიქმეთის სახლს" მივადექი. დიახ, ასე იყო, – „დომ ხიკმეტა"-ს ექახდნენ იმ ორსართულიან ფიცრულ აგარაკს, სადაც საბჭოეთს შეფარებული თურქი კომუნისტი პოეტი ცხოვრობდა.

კარი გამიღეს და, როგორც კი შიგ აღმოვჩნდი, ქალი მომეგება. „ოო, ნაშ ბატუმეც!" – მომაძახა (დარეკილი მქონდა წინასწარ და ალბათ ნაზიმმა აუხსნა ვინ ვიყავიძ იქვე, პირველი სართულის დერეფანში, ნაზიმი ჯორკოზე იჯდა, რაღაც ჩხირებს დანით ფხიკავდა, ტკეჩებივით დრიკავდა. ძირს, მგონი, მეორე ჯორკოზე პატარა ანძებაშვერილი გემის მაკეტი ჩანდა. მიატოვა სამუშაო, მომესალმა და იქვე ტკეჩითვე ნაქსოვ ორ სკამზე ჩამოვჯექით. მეო, მითხრა, სტამბულის საზღვაო სასწავლებელში ვსწავლობდი ერთხანსო. მიყვარს ზღვა და გემიო. აი, ამით, ახლა თითქოს იქ, ჩემს სიყმაწვილეში დავიბრუნე თავიო, – მიხსნიდა.

შემდეგ ზედა სართულისკენ შევუყევით კიბეს, ხის კედლებზე, ალაგ-ალაგ, თავისი პიესების მიხედვით დადგმული სპექტაკლების აფიშები გაეკრა. იქ სხვა პლაკატებიც დავინახე. ნაზიმი ციხიდან მსოფლიოს ელაპარაკება, ნაზიმი – კომუნისტი. ნაზიმი – მგზნებარე რევოლუციონერი. ნაზიმი – მშვიდობის მომღერალი. ნაზიმი – საბჭოთა ხალხის დიდი მეგობარი.

წარწერები – სხვადასხვა ენებზე. ზემოთ, მოზრდილი ბიბლიოთეკის ერთი თაროდან, თურქულად დაბეჭდილი, თავისი ერთი კრებული გადმოიღო, გადაშალა, რაღაცა წააწერა და საჩუქრად გადმომცა. მითხრა, – ეს წიგნი სოფიაში გამოიცა. ჩემს სამშობლოში კი ჩემსას არაფერს არ ბეჭდავენო.

საუბარში, შიგადაშიგ, ჩემი, ბავშვობაში „კალაიჯებისგან" (მკალავები, ხშირად, თურქეთელი ბერძნები დადიოდნენ სოფელ-სოფელ. ისინი თურქულად ლაპარაკობდნენ ჩვენებურებთანძ განაგონ-დამახსოვრებული თურქულითაც ვსინჯავდი დალაპარაკებას. უხაროდა, მაგრამ ისე ვწვალობდი, შემიბრალებდა, – ხშირად, ისევ, რუსულზე გადადიოდა. რუსულად ნაზიმი სუფთად უბნობდა.

იმხანად აჭარის გამომცემლობიდან შემატყობინეს, ჰიქმეთის კრებულს ვამზადებთ გამოსაცემად, იქნებ თხოვო პოეტს, პატარა წინასიტყვა დაგვიწეროს ამ წიგნისთვისო (სხვათა შორის, შემდეგ ნაჩუქარი კრებულიდან რამდენიმე ლექსი მეც ვთარგმნე. ბწკარედი აზერბაიჯანელმა თანაკურსელმა ალი კურჩაილიმ გამიკეთაძ.

– ნაზიმ ეფენდი! – ვეუბნები, – აი, ბათუმლები გთხოვენ, იქ გამომავალ თქვენი წიგნისთვის წინასიტყვა დაგვიწეროთ. თუნდაც რამდენიმე სტრიქონი. – გავუადვილე საქმე, გაეღიმა და, იცით, რა მითხრა? მეო, წინასიტყვა არც ერთი თურქულად გამოცემული წიგნისთვის (როცა შინ ვიბეჭდებოდიოძ არ დამიწერია, მაგრამ რადგან ახლა ამას ბათუმი ითხოვს ჩემგან, რა გაეწყობა, ბათუმს უარს ვერ ვეტყვიო.

ჩამოვჯექით წიგნებიან კარადების გვერდით და ძველი ამბავი გაიხსენა ჰიქმეთმა. – საბჭოთა წყობილება ერთი წლის ძლივს იქნებოდა. ტყელრეებში, ფეხით გადმოვიპარე საზღვარზე. ჩემი გული და სული „ახალი საყაროსკენ" მიილტვოდა. დამწყები კომუნისტი ვიყავი, ჩემი ხალხის საცოდავი ცხოვრების შემყურეს, საბჭოელთა გრანდიოზულ წამოწყებებში, ადამიანთა მომავალი, ნამდვილი საშველი და ხსნა მეგულებოდა. იცით, როცა გჯერა, გწამს კიდეც, იგი სწორუპოვარ ჭეშმარიტებად მიგაჩნია. ამას ენდობი, მასზე ლოცულობ. გინდა ულარიბეს მშრომელ ადამიანთა ამ ნანატრმა გაიმარჯვოს. გინდა შენ იყო შენი ხალხისთვის საოცნებო, ხალხური ნათელი მომავლის მქადაგებელი (იმ წუთებში, ნაზიმს შევატყვე, რომ მოსკოვში და საბჭოეთში, უკვე, რაღაც-რაღაცეები აღარ სჯეროდა, გულგატეხილობის ნიშნები იგრძნობოდა. ამაში სინანულის სევდაც, რაღა თქმა უნდა, აშკარა იყოძ.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 183-193.

**ოპოზიციის ასეთმა გააქტიურებამ სერიოზულად შეაშფოთა სააკაშვილის მომხრეები, რომლებიც შიშობენ, რომ ქვეყანაში შესაძლებელია ახალი რევოლუციის დაწყება**

**◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**



***საქართველოს პრეზიდენტი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამიტიდან, როგორც იტყვიან, შინ საბრძოლო განწყობილებით დაბრუნდა. მან განაცხადა, რომ „საქართველოს ამიერიდან არაფერი აღარ აქვს დასაკარგი“ და აღნიშნა, რომ თბილისი ამიერიდან აღარ მოაწერს ხელს „კაპიტალუნტურ ხელშეკრულებებს“. როგორც ბოროტი ენები ამბობენ, საქართველოს ლიდერის ასეთი განწყობილება შეიძლება აიხსნას იმით, რომ დუშანბეში მან ვერ შეძლო ვლადიმერ პუტინთან გასაუბრება. თუმცა, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა აღნიშნა, რომ რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრა სააკაშვილს არც კი უცდია.***



# სააკაშვილმა ლავროვი გააოცა

საქართველოს პრეზიდენტმა დსთ-ს სამიტი დროზე ადრე დატოვა და მაშინათვე გაემართა „მეჯლისზე“, უფრო სწორად კი ქალაქ ზუგდიდში მიმდინარე კონცერტზე, სადაც გაიმართა ახალი რადიოსადგურის „აფხაზეთის ხმის“ პრეზენტაცია. ამ „ხმამ“, როგორც ვარაუდობენ, უნდა დაფაროს თვითაღიარებული რესპუბლიკის მთელი ტერიტორია (8,6 ათასი კვადრატული კილომეტრიძ: ზუგდიდის რაიონი უშუალოდ ეკვრის აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარს.

პრეზენტაციაზე შეკრებილთა წინაშე სააკაშვილის გამოსვლა ძალზე ემოციური იყო. ისევ და ისევ ბოროტი ენების მტკიცებით, მისი ასეთი გუნება-განწყობილება აიხსნებოდა იმით, რომ დუშანბეში ვერ შეძლო შეხვედროდა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს.

ამ დღეებში, საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების კონტროლსდაქვემდებარებულ აფხაზეთის კოდორის ხეობაში გზის მშენებლობაზე გამოსვლისას, სააკაშვილმა განაცხადა, რომ ექნებოდა საკმაოდ მკაცრი საუბარი თავის „რუს მეგობართან“.

„წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა საქართველოს ბედი მოსკოვში წყდებოდა“, —თქვა სააკაშვილმა.—მთელი დღე გავატარე თანამეგობრობის სამიტზე. გადავწყვიტე, რაც შეიძლება სწრაფად წამოვსულიყავი დუშანბედან და ჩამოვსულიყავი ზუგდიდში, რათა ამ საღამოს თქვენთან ერთად ვყოფილიყავი. დასრულდა ის დრო, როცა ჩვენი ლიდერები იმცირებდნენ თავს და მუხლებზე დაჩოქილი იდგნენ. საქართველოს ბედი უნდა გადაწყდეს საქართველოში. ჩვენ დასაკარგი აღარაფერი გვაქვს. ერთად დავდგებით და წავალთ წინ თავისუფლებისკენ. საქართველოში მოვიდა ახალი თაობა, რომელიც სიტყვებს საქმეს ამჯობინებს“. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დასრულების შემდეგ ზუგდიდში და, საერთოდ, დასავლეთ საქართველოში 300 ათასი ქართველი ლტოლვილიდან უმეტესობა დარჩა.

4 ოქტომბერს საქართველო დატოვა ნატოს გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოპ სხეფერმა, რომელმაც საქართველოს ხელმძღვანელობა გააფრთხილა, რომ დაუშვებელია აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარება საომარი გზით. და უკვე 5 ოქტომბერს მიხეილ სააკაშვილმა მოლაპარაკებისკენ მოუწოდა სოხუმს.

„ჩვენ ვუწვდის მოლაპარაკების ხელს სოხუმს, და ეს მოლაპარაკება ორმხრივი უნდა იყოს. „მეგობრობის ხელს ვუწვდი აფხაზურ მხარეს იმისთვის, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდეს. დარწმუნებული ვარ, მივაღწევთ იმას, რომ ადამიანები, რომლებიც აფხაზეთის ომის შემდეგ დაიბადნენ, შეძლებენ თავიანთი სრულწლოვანება აღნიშნონ ენგურის ხიდს გაღმა“, — თქვა სააკაშვილმა. ერთი სიტყვით,




შეიძლება გამოვთვალოთ, თუ რამდენი წელი დარჩათ ამ ხალხს სრულწლოვანებამდე და რა დრო დარჩა აფხაზეთში მათ დაბრუნებამდე.

თუმცა, იმავე კოდორის ხეობაში სააკაშვილმა დაიფიცა, რომ თავისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე აღადგენს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი პირველი საპრეზიდენტო ვადა 2008 წელს იწურება, ალბათ, პრეზიდენტი მეორე ხუთწლიან ვადას გულისხმობდა. პირველი, რაც უნდა ითქვას დიალოგის დაწყების წინ, არის ის, რომ აფხაზეთი საქართველოა და ჩვენი ხალხი იქ უნდა დაბრუნდეს, ჩვენ გვჭირდება მშობლიურ სახლებში დაბრუნება“, —თქვა პრეზიდენტმა. ასეთი მოლაპარაკება უკვე წელიწადზე მეტია აღარ მიმდინარეობს. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც თვითაღიარებულმა რესპუბლიკამ გაილაშქრა კოდორის ხეობაში ქართული ქვედანაყოფების შეყვანის წინააღმდეგ.

დაუბრუნდა რა თანამეგობრობის სამიტის თემას, პრეზიდენტმა თქვა: „ოთხი წლის წინათ საქართველოს არ ჰყავდა არც არმია, არც პოლიცია, არ ჰქონდა ეკონომიკა. მაგრამ დღეს სულ სხვა სიტუაციაა. ქართველები ითმენდნენ მრავალი წლის განმავლობაში, მაგრამ ახლა მსურს ყველას გასაგონად განვაცხადო, რომ ჩვენი მოთმინების ფიალა აივსო და დღეიდან იწყება დროის ათვლა“.

შაბათს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაკეთებული ამ განცხადებების გამო გაკვირვება გამოთქვა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა: „არავინ აიძულებდა ვინმეს კაპიტულაციას“, — განუცხადა მან დუშანბეში ჟურნალისტებს.

რაც შეეხება სააკაშვილ-პუტინის შეხვედრის შესაძლებლობას, როგორც ლავროვმა თქვა, საქართველოს არაფერი გაუკეთებია ასეთი შეხვედრის ორგანიზებისთვის.

„დუშანბეში ჩამოსვლამდე წავიკითხე, ბატონმა სააკაშვილმა როგორ თქვა, რომ სურს შეხვდეს ვლადიმერ პუტინს, რომ მას მრავალი კითხვა დაუგროვდა თავის რუს კოლეგასთან, მაგრამ არ შემინიშნავს აქ კონტაქტების დამყარების ან რაიმე საკითხების წამოჭრის მცდელობა“, — აღნიშნა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

აფხაზთა მთავრობის ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა კი ჩვენს კორესპონდენტთან საუბრისას გამოთქვა ვარაუდი, რომ შემდგომი ნაბიჯი, რომელიც თბილისმა შეიძლება გადადგას, ალბათ, იქნება ცალმხრივი წესით მოთხოვნა კონფლიქტის ზონიდან თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ.

„ასეთ შემთხვევაში, — თქვა სოხუმის წარმომადგენელმა, — ახალი ომი თითქმის გარდუვალი იქნება. სამშვიდობოთა ნაცვლად ჩვენს სამხედროებს ჩავაყენებთ, რაც ძალზე გაზრდის ქართველებთან მათი უშუალო შეხების ალბათობას“.

შაბათს შეერთებულ შტატებში გაემგზავრა საგარეო საქმეთა მინისტრი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში დავით ბაქრაძე. 11 ოქტომბერს იქ გაიმართება გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილავენ საქართველოში არსებული კონფლიქტების მოწესრიგების, აგრეთვე აფხაზეთში გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა მისიის მანდატის გახანგრძლივების საკითხებს. დავით ბაქრაძე შეხვდება ასევე რუსეთის მუდმივ წარმომადგენელს გაეროში ვიტალი ჩურკინს.

თბილისში ზოგიერთ ექსპერტს მიაჩნია, რომ სააკაშვილს განზრახ გადააქვს ძირითადი ყურადღება კონფლიქტების მოწესრიგებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. „თბილისში ახლა მას აღარ შეუძლია მიტინგების გამართვა“, — აღნიშნა ერთ-ერთმა თბილისელმა.

საქართველოს დედაქალაქში ათასობით მოქალაქე იკრიბება ოპოზიციის აქციებზე. მაშინ როცა, სააკაშვილი ზუგდიდის სცენაზე იმყოფებოდა, თბილისის ერთ-ერთ პარკში უჩვენებდნენ ფილმს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას დაღუპვის შესახებ, რომელიც დამოუკიდებელ ჟურნალისტმა ვახტანგ კობახიძემ გადაიღო.

როგორც ცნობილია, ირაკლი ოქრუაშვილმა აღნიშნა, რომ 2005 წელს ზურაბ ჟვანია არ დაღუპულა იმ კონსპირაციულ ბინაში, რომელიც იპოვეს მისი ცხედარი.

ასეთი განცხადების შემდეგ ძალზე გაიზარდა ინტერესი ამ საკითხთან დაკავშირებით. ოპოზიცია, აგრეთვე ჟვანიას ოჯახის წევრები მოითხოვენ ახალი გამოძიების დაწყებას. ფილმის დასრულების შემდეგ პროცესია ანთებული სანთლებით ხელში გაემართა პარკის ახლოს მდებარე ეკლესიისკენ.

ამიერიდან საქართველოში ოპოზიციის სიმბოლო გახდება თეთრი ლენტი ხელზე. ასეთი იდეა გამოთქვა ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში გიორგი ხაინდრავამ.

**დიმიტრი ალექსანდროვი**





ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

№ 194. სამშაბათი, 9 ოქტომბერი, 2007 წელი.

# დედამიწის ზურგზე

**მთავრობას მიაჩნია, რომ ინდოეთის ოკეანეში იაპონელთა ხომალდების მოქმედების ვადის გახანგრძლივება შესაძლებელს გახდის ოპოზიციასთან კომპრომისის მიღწევას სპარსეთის ყურეში იაპონიის სამხედრო ძალების მისიის მანდატის ვადის გაგრძელების შესახებაც**



## ერაყის პრეზიდენტი ამერიკელ სენატორთა იდეას მხარს უჭერს

**ერაყის პრეზიდენტმა ჯალალ თალაბანიმ დაუჭირა მხარი ამერიკის სენატის იდეას ეთნიკური ნიშნის მიხედვით ერაყის რამდენიმე ნაწილად დაყოფის შესახებ. კვირას CNN ტელეკომპანიის ეთერით გამოსვლისას თალაბანიმ აღნიშნა, რომ სენატის მიერ მიღებული რეზოლუცია „ძალზე კარგია“.**

მანამდე კი შეერთებული შტატების კონგრესის სენატმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მოუწოდებდა ბაღდადს შეეზღუდა ერაყის ფედერალური მთავრობის უფლებამოსილებანი და გაეფართოებინა რეგიონალურ ხელისუფლებათა ფუნქციები. პრინციპში, ეს ნიშნავს ერაყის დაყოფას სამ ნაწილად – შიიტურ, სუნიტურ და ქურთთა ნაწილებად. სენატორთა აზრით, სწორედ ასეთი სახელმწიფო მოწყობა გახდის იმის შესაძლებლობას, რომ ერაყში მოელოს ბოლო რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე გაღვივებულ ძალადობას.

ასეთი იდეის წინააღმდეგია ერაყის პრემიერ-მინისტრი ნური ალ-მალიქი. მაგრამ, თალიბანის აზრით, ამ იდეის განხორციელება არ მოუტანს ზიანს ერაყს. „სენატში მოწონებული რეზოლუცია მხარს უჭერს ერაყის ერთიანობას, ქვეყნის აყვავებას, ეროვნულ შერიგებას, აგრეთვე მოითხოვს, რომ ერაყის მეზობელი ქვეყნები არ ჩაერიონ ამ სახელმწიფოს საქმეებში“, – თქვა ერაყის პრეზიდენტმა. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეგიონულ ხელისუფლებათა წარმომადგენლებისთვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭება სულაც არ ნიშნავს ერაყის დაყოფას. თალიბანმა, რომელიც თვითონ ეროვნებით ქურთია, თქვა, რომ არასოდეს იბრძოლებს ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში ქურთთა სახელმწიფოს შექმნისთვის, რადგან ამას არ მოიწონებენ მეზობელი ქვეყნები.

ამავე დროს, კონსტიტუციის მიღების პროცესში შიიტთა და სუნიტთა გავლენიან ჯგუფებმა გაილაშქრეს ფედერალიზმის პრინციპის წინააღმდეგ. ავტონომიით დაინტერესებული არიან ერაყელი ქურთები, რადგან, ჯერ ერთი, ქურთ ხალხს, რომლებიც ასევე ცხოვრობენ ირანში, სირიასა და თურქეთში არ გააჩნიათ სახელმწიფოებრიობა, და მეორეც, ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე მიწები, სადაც ქურთი მოსახლეობა ჭარბობს, ნავთობის დიდი მარაგით არის ცნობილი.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2006 წლის შემოდგომაზე გაჩაღდა ცხარე კამათი ერაყის ავტონომიებად შესაძლო დაყოფის შესახებ.

ერაყი სამომავლოდ შეიძლება ისედაც დაიშალოს ცალცალკე სახელმწიფო წარმონაქმნებად, განაცხადა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარგარეტ ბეკეტმა ლონდონში ერაყის ვიცე-პრემიერთა ბაჰრამ სალეჰთან შეხვედრის შემდეგ. „ეს, მნიშვნელოვანწილად, თვით ერაყელებმა გამოიწვიეს, რომლებიც თვითნებურად აწესებდნენ საზღვრებს და ილებდნენ მხოლოდ მათთვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებებს“, – შენიშნა ბეკეტმა. ამავე დროს, დაუნინგ-სტრიტის წარმომადგენელმა თქვა, რომ არც ერთი სერიოზული ერაყელი პოლიტიკოსი არ არის დაინტერესებული ქვეყნის დაყოფით.

ბრიტანელ კოლეგას დაეთანხმა რუსეთის საგარეოსაქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვიც. „თუ ერაყში შექმნილ ვითარებაში ვერ მოხერხდა გარდატეხის შეტანა, ვერ მოხერხდა ქვეყნის ჭეშმარიტი გაერთიანება, ასეთი სიტუაცია სავსებით შესაძლებელია, რომ რეალობად იქცეს“, – მიაჩნია რუსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელს.

## იაპონია სამხედრო-ტექნიკურ დახმარებას ამცირებს

**იაპონიის ახალი პრემიერ-მინისტრის იასუო ფუკუდოს მთავრობამ გადაწყვიტა დათანხმებოდა ზოგიერთ დათმობას ინდოეთის ოკეანეში იაპონელთა ხომალდების მისიასთან დაკავშირებულ საკითხში, რომლებიც უწევენ სამხედრო-ტექნიკურ დახმარებას ავღანეთში მოქმედ კოალიციურ ჯარებს.**

ამ მისიის მანდატის გახანგრძლივების შესახებ ახალი კანონპროექტის თანახმად (მისიის ვადა მიმდინარე წლის 1 ნოემბერს იწურება), იაპონიის ხომალდები „აღარ განახორციელებენ კოალიციის იმ გემების საწვავით გაწყობას, რომლებიც უწევენ მხარდაჭერას ავღანეთში მიმდინარე სახმელეთო ოპერაციებს“, – განაცხადა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მასაჰიკო კომურამ.

ოპოზიცია, რომელსაც ჰყავს უმრავლესობა პარლამენტის ზედა პალატაში, მოითხოვს, რომ შეწყდეს ინდოეთის ოკეანეში იაპონელთა ხომალდების სანახევროდ გასამხედროებული მისია.



ამავე დროს, პრემიერი აპირებს ილონოს ყველაფერი იმისთვის, რომ მიაღწიოს ეროვნული სამხედრო-საზღვაო ძალების მისიის გახანგრძლივებას სპარსეთის ყურეში, სადაც ისინი სათბობით ამარაგებენ შეერთებული შტატების მეთაურობით მოქმედ მრავალეროვნულ დაჯგუფებას. ოპოზიცია კი მოითხოვს ხომალდების შინ გამოხმობას, რამაც, შესაძლოა, მძიმე დარტყმა აგემოს ტოკიო-ვაშინგტონის ურთიერთობას.

თუმცა, მთავრობას მიაჩნია, რომ ინდოეთის ოკეანეში იაპონელთა ხომალდების მოქმედების ვადის გახანგრძლივება შესაძლებელს გახდის ოპოზიციასთან კომპრომისის მიღწევას სპარსეთის ყურეში იაპონიის სამხედრო ძალების მისიის მანდატის ვადის გაგრძელების შესახებაც.

## პრეზიდენტის რეზიდენციის თავზე საჰაერო სივრცე 11 თვითმფრინავმა დაარღვია



**კვირას, მერილენდის შტატის ქალაქ კემპ-დევიდში, სადაც განლაგებულია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ქალაქგარეთა რეზიდენცია, იქ არსებულ ეგრეთ წოდებულ დახშულ საჰაერო სივრცეში დაფიქსირდა თვითმფრინავების არაგანზრახ შეჭრის მთელი სერია.**

როგორც ვაშინგტონიდან იტყობინებოდნენ, „აკრძალულ ზონაში“ კვირას დილით, საერთო ანგარიშით, დარღვევა მოხდა 11-ჯერ. დამრღვევი-თვითმფრინავის გადატაცების მიზნით ერთხელ ჰაერში აიჭრა F-16 ტიპის ავიაგამანადგურებელი.

ამავე დროს, ჯორჯ ბუშმა, რომელიც შაბათს გაემგზავრა ვაშინგტონიდან კემპ-დევიდში, კვირას დღის პირველი ნახევრის მნიშვნელოვანი ნაწილი გაატარა რეზიდენციის ფარგლებს გარეთ. იგი კემპ-დევიდის მახლობლად მდებარე ქალაქ ემიტსბერგში გამოვიდა ცერემონიაზე, რომელიც მიეძღვნა სასამსახურო მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ მეხანძრეთა ხსოვნას.

**◉ მოქცევა**

**(მეექვსე გვერდიდან)**

## როცა პატიმრობის დრო გამივა

ერთ დღეს მამა სერაპიონი ეკლესიაში კვეთებულის ლოცვას კითხულობდა. უკვე ექვსი თვის ჩამოსული ვიყავი. თვალები დახუჭული მაქვს, ვხედავ ლამაზ ყვავილებს, პეპლებს, უცებ ვხედავ უფალს, რომელსაც უკან ღვთისმშობელი უდგას. მუხლებზე დავეცი და დავიწყე ხვეწნა-მუდარა: უფალო, მაპატიე, გემუდარები, მაპატიე და განმკურნე მე ცოდვილი-მეთქი. მითხრა: რა დროს განკურნებაა, ჯერ იცი რამდენი უნდა იშრომო? მამა სერაპიონს დაუჯერეო. ღვთისმშობელი კი ილიმებოდა და ჩვენს საუბარში არ ერეოდა. წამოვედი იმავე გზით, შემოვედი ტაძრის ჭიშკარში. დავჯექი ჩემს სკამზე და მამა სერაპიონმაც დაასრულა ლოცვის კითხვა.



ნათიას ხელით შესრულებული წმინდა გიორგის ხატები

ჩემი ჩამოსვლიდან ექვსი თვის შემდეგ მამა სერაპიონს გადაყვანა მოუნდომეს ქოზეფაში, მამათა მონასტერში. ჩემი მდგომარეობა გაურკვეველი იყო. სახლში ვერ დავბრუნდებოდი, რადგან ჯერ კიდევ მჭირდებოდა მკურნალობა. როცა მამა სერაპიონის წასვლის დღე მოვიდა, გადავწყვიტე მონასტრის დასათვალიერებლად გავყოლოდი.

რაც მეცვა, ქოზეფაში იმით გავყევი, ბარგიც არ წამიღია. მოხდა სასწაული და ჩემი იქ დარჩენა უცებ გადაწყდა. დედათა მონასტერში დამტოვეს. მამა სერაპიონი 28 კილომეტრით იყო ჩემგან დაშორებული, მაგრამ ჩემს ნახვასა და მკურნალობას მაინც ახერხებდა. ბარგის ჩამოტანა თვე-ნახევრის შემდეგ მოვახერხე.

ამასობაში ავადმყოფობა ისევ გამირთულდა. გამიძლიერდა კრუნჩხვა. ჩვენდა საბედნიეროდ, ოთხ თვეში ისევ ბოლნისში დაგვაბრუნა ღმერთმა და ნელ-ნელა ფეხზე დამაყენა მამა სერაპიონის ლოცვამ. ხატვის ნიჭი არ მქონდა. მონასტერში მასწავლეს მოზაიკის გაკეთება. წმინდა გიორგის ოცდაათი ხატი მაქვს გაკეთებული. საოცარი ის არის, რომ სხვა ხატის შესრულება არ შემიძლია და ყველა მათგანს სხვადასხვა გამომეტყველება აქვს; ვისწავლე ქარგვაც. რასაც მამა სერაპიონის კურთხევითა და რჩევით ვაკეთებდი, ყველაფერი საოცრად ლამაზი გამომდიოდა.

* * *

ნათია უკვე თავის ოჯახს დაუბრუნდა. მამა სერაპიონი კი პატრიარქის კურთხევით ფასანაურში, სოფელ ხამუშაში გადაიყვანეს. ახალი მრევლი, ახალი გარემო. მხოლოდ ერთია უცვლელი, ღვთისადმი გამუდმებული ლოცვა-ვედრება და მოყვასზე, სულიერ შვილებზე მზრუნველობა.

**ელგუჯა გრიგალაშვილი**

**● განახლებული, კეთილმოწყობილი და გალამაზებული თეატრი ათწლიანი იძულებითი შესვენების (რემონტისძ შემდეგ თავის პირველ მაყურებელს ლიახვის ხეობიდან ელოდა და აი, აჩაბეთელი მოსწავლეები აღმოჩნდნენ თეატრის მეკვლეები**



◎ კონსერვატორია – 90

# ვეოსლმ „დანტრა"

**საიუბილეო ფესტივალი დასრულდა. რვა დღის განმავლობაში არ დადუმებულა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზის სცენა. კონსერვატორიის იუბილემ შეკრიბა თავისი აღზრდილები, მსოფლიოში გაბნეული ვარსკვლავები, რომლებმაც ნამდვილი დღესასწაულები აჩუქეს მსმენელებს.**

ფესტივალის ბოლო აკორდები იყო ლადო ათანელის, იანო ალიბეგაშვილისა და ელისო ვირსალაძის გამოსვლები, მუსიკოსებისა, რომლებიც დღეს მსოფლიოს მუსიკალურ სარბიელზე, საქართველოს სიამაყეს წარმოადგენენ და ამაში ერთხელ კიდევ დაარწმუნეს ქართველი საზოგადოებრიობა.



როგორც ყოველთვის, ახლაც ულამაზესი ხმისა და სანიმუშო ვოკალური ოსტატობის დემონსტრაცია იყო სცენაზელადო ათანელისა და იანო ალიბეგაშვილის გამოჩენა. რა არტისტული ხიბლი ახლდა მათ შესრულებულ არიებს თუ დუეტებს ჯ. ვერდის „ბალ-მასკარადიდან", „მაკბეტიდან", პუჩინის „მანონ ლესკოდან", ჯორდანოს „ანდრე შენიედან", ვერდის „ნაბუქოდან".

იმ საღამოს ნამდვილად გაუღიმა ბედმა ყველა დამსწრეს, პირთამდე გადატენილ დარბაზს, რადგან მშვენიერების ღვთაებრივ წუთებს ნამდვილად ეზიარნენ, დარბაზში დიდი ხელოვნება მეფობდა და სიხარულისგან ცრემლმორეული მსმენელი გულმხურვალე აპლოდისმენტებს, ოვაციებს არ იშურებდა მათთვის. ამის საპასუხოდ მომღერლებიც მაქსიმალურად იხარჯებოდნენ და ბისზე რამდენიმე ნაწარმოები გაიმეორეს. ვარსკვლავებს თანხლებას უწევდა თბილისის სიმფონიური ორკესტრი ვახტანგ კახიძის დირიჟორობით.

კვირეული დააგვირგვინა გამოჩენილი პიანისტის ელისო ვირსალაძის გამოსვლამ. ოთხი წელიწადი გასულა, რაც პიანისტს თბილისში არ დაუკრავს. ინტენსიურმა საკონცერტო ცხოვრებამ და პედაგოგიურმა მოღვაწეობამ მოსკოვსა და მიუნხენში, როგორც ჩანს, მას ამის შესაძლებლობა არ მისცა. ამიტომაც ბუნებრივი იყო ქართველ თაყვანისმცემელთა მონატრება და ცხოველი ინტერესი.

პიანისტს კულისებში შევავლე თვალი, სცენაზე გამოსვლის წინ ღელავდა, როგორც ღელავენ ხოლმე პირველი გამოსვლის წინ. ეს დიდ ხელოვანთა ხვედრია, ამაზე ქალბატონ ელისოს ადრეც უთქვამს: არასოდეს მიფიქრია, მოვეწონები თუ არა დარბაზს, პასუხისმგებლობას ყველაზე მეტად იმ ნაწარმოებისადმი და ავტორისადმი ვგრძნობ, რომელსაც ვასრულებ.

საღამოზე მან ერთ-ერთი მისი საყვარელი კომპოზიტორის მოცარტის საფორტეპიანო კონცერტი №21 (დო მაჟორიძ ააჟღერა და ისეთი ხიბლით, მხოლოდ ასეთ დიდოსტატებს რომ სჩვევიათ. ამ დღეს პიანისტმა კონსერვატორიის სტუდენტურ ორკესტრთან ერთად დაუკრა, ორკესტრთან, რომელიც ამ დღეს კიდევ ერთხელ წარსდგა აუდიტორიის წინაშე მაღალი პროფესიული დონით და რაშიც დიდი წვლილი გამოჩენილ მუსიკოსსა და დირიჟორს ლევ მარკიზს მიუძღვის.

სწორედ კვირეულის მნიშვნელოვანი მხარე იყო ის, რომ მსოფლიოს თანავარსკვლავედთა გვერდით ღირსეულად წარმოჩნდა ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა, ისინი, ვინც ხვალ უნდა განაგრძოს ქართული მუსიკალური ხელოვნების საუკეთესო საშემსრულებლო ტრადიციები. ყურადღების ცენტრში მოექცა ჩასაბერ საკრავებზე შემსრულებელი ახალგაზრდების – გიორგი გვანცელაძის, ლევან ცხადაძის, თემურ ბუხნიკაშვილის, გიორგი ბერუაშვილის ხელოვნება.

საიუბილეო დღეებში მნიშვნელოვანი იყო მუსიკოსების ალექსანდრე ბონდურიანსკის, გიორგი ქობულაშვილის, დიმიტრი ბაშკიროვის, იოსებ ბარდანაშვილის, პაატა ბურჭულაძის, ზურაბ სოტკილავას, ზიგფრიდ მაუზერის ღია გაკვეთილების სახით ჩატარებული მასტერკლასები. გამოჩენილმა ოსტატებმა ახალგაზრდა მუსიკოსები საშემსრულებლო ხელოვნების არაერთ საიდუმლოს აზიარეს.

ფესტივალის ყველა საღამომ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, დარბაზში ჭეშმარიტად მაღალი ხელოვნების ატმოსფერო სუფევდა. მადლობის მეტი რა ეთქმის მის ორგანიზატორებს, ქალბატონ მანანა დოიჯაშვილს, ყველა სპონსორს.

**საიუბილეო დღეები დასრულდა, იგი ქართული ნიჭისა და გენის ზეიმად იქცა, მან სიამაყის გრძნობა დაუტოვა ყველას და ამასთან ერთად, სინანულისაც – ნეტავ ეს ვარსკვლავები ყველა ერთად თბილისში დასახლდნენ და ასეთ ნეტარებას ხშირად ანიჭებდნენ საკუთარ ხალხს.**

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

◎ საბავშვო თეატრი იწყებს...

# შემოვლითი გზით ზღვა სიხარულისკენ

**დილის შვიდის ნახევარზე ბავშვებით სავსე ორი ავტობუსი თბილისისკენ დაიძრა. სოფელ აჩაბეთიდან დიდი ხნის სავალი არ არის, მაგრამ შემოვლითი გზით, ტყე-ტყე და მთების გადმოვლით გზა იწელება და რთულდება. ღრუბლებიც წამოიშალნენ. ბავშვების თვალებში შიშმა ჩაიბუდა, – ვაითუ გაწვიმდეს და მთის გადავლა ვერ მოასწრონ... მადლობა ღმერთს, არ გაწვიმდა, გზაც დაილია და პატარები უჩვეულოს მოლოდინში გაირინდნენ.**

თბილისში მათ ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო (ყოფილი მოზარდ მაყურებელთაძ თეატრში ელოდნენ. განახლებული, კეთილმოწყობილი და გალამაზებული თეატრი ათწლიანი იძულებითი შესვენების (რემონტისძ შემდეგ თავის პირველ მაყურებელს ლიახვის ხეობიდან ელოდა და აი, აჩაბეთელი მოსწავლეები აღმოჩნდნენ თეატრის მეკვლეები. ასამდე მოსწავლემ, პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით, სკოლის დირექტორის ქეთეთან ნებიერიძის წინამძღოლობით პირველად შეაბიჯეს მათთვის განკუთვნილ თეატრში და უცებ ზღაპრულ სამყაროში აღმოჩნდნენ. თეატრის გარდერობში პატარები გამოიპრანჭნენ – სადღესასწაულო სამოსი მოირგეს, ვარცხნილობაც შესაფერისი გაუკეთეს და კონკიასთან ერთად პირდაპირ სამეფო წვეულებაზე ამოჰყვეს თავი. აი, აქ, მეჯლისზე ზღაპრულ გმირებთან – მერი პოპინსთან (მსახიობი ლელა მახნიაშვილიძ, ალადინთან (ვალერი ისახანოვიძ, არლეკინთან (გიორგი აზმაიფარაშვილიძ და მეზღაპრესთან (შალვა ბახტაძეძ ერთად როგორლა არ გაერთნენ. იცეკვეს, იმღერეს, ითამაშეს... მერე ცნობილი მხატვარი თენგიზ მირზაშვილიც ესტუმრათ და თითოეულ აჩაბეთელს საჩუქრად თავისი ნამუშევარი აჩუქა, თანაც შეჰპირდა – სოფელშიც უთუოდ გეწვევითო.

ნაშუადღევს ზეიმმა თეატრის მცირე დარბაზში გადაინაცვლა და ახალ დადგმებს – ნაცარქექიასა და კონკიას დაესწრნენ (დამდგმელი რეჟისორი მიხეილ ანთაძეძ. ამ დღეს სცენაზე მათთვის გაისარჯნენ მსახიობები თემურ კალანდაძე (ნაცარქექიაძ, ლევან ლორთქიფანიძე (დევიძ, ნინო პაპიაშვილი (კონკიაძ, ლელა მახნიაშვილი (დედინაცვალიძ და ვახტანგ ახალაძე (მეზღაპრეძ. ამ დღის სიხარული აჩაბეთელ მოსწავლეებს საქართველოს მთავრობის კანცელარიის თაოსნობით, სპონსორებმა „კოკა-კოლამ", „მაკდონალდსმა", სილამაზის სალონ „ეიფორიამ", D@G Party Designers Group-მა აჩუქეს.

თავად ცენტრალურმა საბავშვო თეატრმა კი ამ დღეს, 6 ოქტომბერს, 2007 წლის სეზონის გახსნასთან დაკავშირებით წინა საპრემიერო აქცია „16 დღე – 16 პრემიერა" დაიწყო .

თეატრში სამი სცენა იმუშავებს – დიდი, მცირე და ექსპერიმენტული. ახალ დადგმებზე ჯერჯერობით მოსაწვევი ბარათებით მოიწვევენ მოზარდებს სკოლებიდან, ორგანიზაციებიდან. განახლებული თეატრის ოფიციალურ გახსნამდე ცოტა დრო დარჩა, თუმცა ამ აქციით ახალი შემოქმედებითი ცხოვრება უკვე დაიწყო. აქციის დღეებში ქართული და რუსული, აგრეთვე რუსული თოჯინური თეატრების დასები უჩვენებენ შემდეგ სპექტაკლებს: „წითელქუდა და ერთი გოჭი", „ნაცარქექია და კონკია", „აი ქალი", „უცნობი რანჰუნიდან", „ცხოვრება თამაშია", „ქალლის ისტორია", პეპი, რწყილი და ჭიანჭველა", „როგორ გვიყვარდა ჩვენ ერთმანეთი", „Колобок" („კოკორი"ძ, „მემანქანე ქალები", „თითით საჩვენებელი", „ოთარაანთ ქვრივი".

ამ სპექტაკლებზე, რომლებზეც სხვადასხვა რეჟისორებმა იმუშავეს, მომავალში გიამბობთ.

**მანამდე კი პირველი მაყურებლების – აჩაბეთელი ბავშვების ოცნებებითაც დაინტერესდნენ. რას ისურვებდითო ყველაზე მეტად, – ჰკითხეს, ომი არასოდეს გენახოთო!..**

**პასუხი ერთსულოვანი იყო.**

**სალომე ქოქიაშვილი**







# სპორტი

● ლატვიის დედაქალაქმა რიგამ ძიუდოისტთა საერთაშორისო კომერციულ ტურნირს უმასპინძლა. პირველ ადგილზე გავიდა ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე წონაძ; ზაზა კედელაშვილს (66ძ, დავით ქევხიშვილს (73ძ და ირაკლი ცირეკიძეს (90ძ მეორე ადგილები ხვდათ, ნესტორ ხერგიანი (60ძ კი მესამე იყო



◉ რაგბი

## ოთხეულს სენ დენი უმასპინძლებს

**საფრანგეთში მორაგბეთა მსოფლიო თასის გათამაშება ფინიშის სწორზე გავიდა — 13 და 14 ოქტომბერს სენ დენში ნახევარფინალური ორთაბრძოლები გაიმართება. გასული უქმეების პაექრობებს კი უსენსაციოდ არ ჩაუვლია — შეჯიბრებას ორი საუკეთესო გუნდი გამოეთიშა, არადა, ავსტრალია და ზელანდია წინა ჩემპიონატებზე ნახევარფინალების მუდმივი წარმომადგენლები იყვნენ.**

ავსტრალია–ინგლისის შეხვედრაში მორტლოკმა ზუსტი საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში, მაგრამ ვილკინსონმა და მისმა თანაგუნდელებმა იმდენი შეძლეს, რომ ბრიტანელები ფინალში გაიყვანეს (12:10ძ.

პირველი ტაიმის შემდეგ ფრანგებს ზელანდიელებთან ორთაბრძოლისას უიმედო მდგომარეობა ჰქონდათ, რადგან 3:13-ს აგებდნენ. შესვენების შემდეგ ტურნირის მასპინძლებმა (თუმცა, შეხვედრა კარდიფში გაიმართაძ თამაშში გარდატეხა შეიტანეს და მატჩი 2 ქულით მოიგეს — 20:18. პირველად მოხდა, რომ ზელანდიელები მსოფლიო თასის ნახევარფინალში ვერ გავიდნენ.

დანარჩენი ორი მეოთხედფინალი ფავორიტების გამარჯვებით დამთავრდა: სამხრეთ აფრიკამ ფიჯის აჯობა — 37:20, ხოლო არგენტინამ შოტლანდია დაამარცხა — 19:13.

ამდენად, 13 ოქტომბერს ითამაშებენ ინგლისი — საფრანგეთი (23.00ძ, ხოლო 14 ოქტომბერს სამხრეთ აფრიკა და არგენტინა (23.00) დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.





* * *

**აქვე მორაგბეთა საქართველოს თასის გათამაშებაზეც გეტყვით ორიოდე სიტყვას: ნახევარფინალში „ლოკომოტივმა“ „ლელოს“ 25:23 სძლია, ხოლო „ყოჩებმა“ „დინამოს“ აჯობეს 26:10.**

**ფინალურ შეხვედრას 27 ოქტომბერს ქუთაისი უმასპინძლებს.**

◉ ძიუდო

## უფროსების ნაკვალევით

**პრაღაში დამთავრდა 21 წლის ძიუდოისტთა ევროპის პირველობა, რომელშიც საქართველოს ფალავნებმა ერთი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი მოიპოვეს.**

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვარლამ ლიპარტელიანმა ზედიზედ დაამარცხა ჩეხი მიშალ კრპალეკი, მოლდოველი ივან რემარენკო, გაბერძნებული თედორე აბელაშვილი (ტენტორე მასმანიდისიძ, ფრანგი ედვინ ჰოვანისიანი, გერმანელი დინო პფაიფერი და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

მხოლოდ ფინალურ ორთაბრძოლებში დათმეს ზვიად ბაზანდარაშვილმა (73 კგძ და ლევან მუქერიამ (+100ძ, რომლებიც ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ.

* * *

**ლატვიის დედაქალაქმა რიგამ ძიუდოისტთა საერთაშორისო კომერციულ ტურნირს უმასპინძლა.** პირველ ადგილზე გავიდა ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე წონაძ; ზაზა კედელაშვილს (66ძ, დავით ქევხიშვილს (73ძ და ირაკლი ცირეკიძეს (90ძ მეორე ადგილები ხვდათ, ნესტორ ხერგიანი (60ძ კი მესამე იყო.

◉ მძლეოსნობა

## კენიელთა ბენეფისი

**სეულის ოლიმპიური თამაშების პრიზიორის მაია აზარაშვილის სახელობის გარბენს წლეულს თბილისმა უმასპინძლა და მონაწილეთა სიმრავლითაც გამოირჩეოდა.** 12 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის 10-კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად კენიელმა ჯონათან კოლეგეიმ გაირბინა და ჯილდოდ 1000 დოლარიც დაიმსახურა. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, გამარჯვებულის თანამემამულე ელიშა სავე და უკრაინელი ვიაჩესლავ პრიხოდკო გავიდნენ.

ქალებშიც უძლიერესი გახლდათ კენიელი სუზან კურუი (800 დოლარიძ. მას მცირედით ჩამორჩნენ უკრაინელი კატარინა კორმანენკო და გერმანელი იულია ვილენარი. ქართველები — გიული დეკანაძე და გიორგი შეკრელიძე მეექვსე ადგილებით დაკმაყოფილდნენ.

◉ კალათბურთი

## „ვითა“ გაცოცხლდა!



**დამოუკიდებელი საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბი „ვითა“ რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ ეროვნულ სარბიელს დაუბრუნდა.** ეს ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონის ძველი მოამაგის ავთანდილ საყვარელიძის დამსახურებაა, გუნდს კი ის ზურაბ ტომარაძე ავარჯიშებს, ვისი მწვრთნელობის პერიოდშიც თბილისელებმა არაერთ წარმატებას მიაღწიეს.

სიმბოლურია, რომ განახლებული „ვითას“ საბრძოლო ნათლობა მისი კაპიტნის დუდუ დადიანის მემორიალზე შედგა, რომელსაც რუსთავმა უმასპინძლა. დებიუტანტთა კვალობაზე, ბიჭებმა შესანიშნავად ითამაშეს და ფინალამდე გააღწიეს, სადაც საქართველოს მოქმედ ჩემპიონთან ადგილობრივ „აზოტთან“ დამარცხდნენ — 66:88. სხვათა შორის, ფავორიტმა ტურნირი „მაქაბისთან“ წაგებით დაიწყო, მაგრამ მთავარი პრიზის მოპოვება მაინც მოახერხა.

◉ ფეხბურთი

## აქეთური, იქეთური

**XIX ეროვნული ჩემპიონატი. XVIII ტური.** „ზესტაფონი“ — „ბორჯომი“ 1:0, „ამერი“ — „დინამო“ 0:2, „მგლები“ — „ბათუმი“ 1:0, „მესხეთი“ — „მერანი“ 2:1, „ლოკომოტივი“ — „სიონი“ 1:0, „დილა“ — „ოლიმპი“ 1:1, „ვიტ ჯორჯია“ — „ცხინვალი“ 1:0.

„დინამო“ — 24, „ზესტაფონი“ — 22, „ვიტ ჯორჯია“ — 16, „მგლები“ — 15, „ბორჯომი“, „მესხეთი“ — 14-14, „ამერი“ — 12, „ოლიმპი“ — 11, „ლოკომოტივი“ — 9, „სიონი“, „ცხინვალი“ — 8-8, „დილა“ — 4, „მერანი“ — 3, „ბათუმი“ — 1 ქულა.



**ბომბარდირები:** ხუციშვილი, აკირემი (ორივე — „დინამო“ძ — 5-5 გოლი.

**19 ოქტომბერს ითამაშებენ:** „დინამო“ — „ვიტ ჯორჯია“, „ბათუმი“ — „ამერი“, „ბორჯომი“ — „ლოკომოტივი“, „სიონი“ — „დილა“, „ცხინვალი“ — „მესხეთი“, „ოლიმპი“ — „მგლები“, „მერანი“ — „ზესტაფონი“.

* * *

**იტალია. VII ტური.** „ინტერი“ — „ნაპოლი“ 2:1, „ფიორენტინა“ — „იუვენტუსი“ 1:1, „პარმა“ — „რომა“ 0:3.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი“ — 17, „იუვენტუსი“, „რომა“ — 14-14 ქულა.

**ბომბარდირები:** ტრეზეგე („იუვენტუსი“ძ, იბრაჰიმოვიჩი („ინტერი“ძ — 5-5 გოლი.

**შემდეგი ტური:** „რეჯინა“ — „ინტერი“, „იუვენტუსი“ — „ჯენოა“, „რომა“ — „ნაპოლი“.

**ესპანეთი. VII ტური.** „რეალი“ — „უელვა“ 2:0, „ბარსელონა“ — „ატლეტიკო“ 3:0, „ოსუსუნა“ — „ვილიარეალი“ 3:2, „ვალენსია“ — „ესპანიოლი“ 1:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „რეალი“ — 19, „ბარსელონა“ — 17, „ვილიარეალი“, „ვალენსია“ — 15-15 ქულა.

**ბომბარდირი:** მესი („ბარსელონა“ძ — 6 გოლი.



**შემდეგი ტური:** „ესპანიოლი“ — „რეალი“, „ვილიარეალი“ — „ბარსელონა“, „დეპორტივო“ — „ვალენსია“.

**ინგლისი. IX ტური.** „არსენალი“ — „სანდერლენდი“ 3:2, „მანჩესტერი“ — „უიგანი“ 1:0, „სიტი“ — „მიდლსბრო“ 3:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „არსენალი“ — 22, „მანჩესტერი“ — 20, „სიტი“ — 19 ქულა.

**ბომბარდირები:** ადებაიორი („არსენალი“ძ, მვარუვარი („პორტსმუთი“ძ — 6-6 გოლი.

**შემდეგი ტური:** „არსენალი“ — „ბოლტონი“, „ასტონ ვილა“ — „მანჩესტერი“, „სიტი“ — „ბირმინგემი“.

**გერმანია. IX ტური.** „ბაიერნი“ — „ნიურნბერგი“ 3:0, „შალკე“ — „კარლსრუე“ 0:2, „დუისბურგი“ — „ვერდერი“ 1:3, „ბილეფელდი“ — „ჰამბურგი“ 0:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბაიერნი“ — 23, „კარლსრუე“ — 18, „ვერდერი“, „ჰამბურგი“ — 17-17 ქულა.

**ბომბარდირი:** კლოზე („ბაიერნი“ძ — 8 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბოხუმი“ — „ბაიერნი“, „კარლსრუე“ — „ბილეფელდი“, „ვერდერი“ — „ჰერტა“, „ჰამბურგი“ — „შტუტგარტი“.

**საფრანგეთი. X ტური.** „ბორდო“ — „ლიონი“ 1:3, „მონაკო“ — „ნანსი“ 1:3, „ლე მანი“ — „ნიცა“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“, „ნანსი“ — 22-22, „ლე მანი“ — 19 ქულა.

**ბომბარდირი:** ბენზემა („ლიონი“ძ — 9 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ლიონი“ — „მონაკო“, „ნანსი“ — „სოშო“, „რენი“ — „ლე მანი“.

● ორ საფესტივალო დღეს გალობდა ლამის მთელი საქართველო, 40-ზე მეტი ქალაქისა და რაიონის 56 მგალობელთა გუნდი. მრავალგზის ისმოდა მრავალხმიანი გალობის შედევრები



⊙ ფესტივალი

# იგალობეთ, ქართველებო!

**ორ დღეს ჟღერდა საჩხერეში ქართული მრავალფეროვანი საგალობლები. ჩვენი პოლიფონიური მუსიკის ამ უნიკალური ფენომენის გაცოცხლება-აჟღერებაში ამჯერად საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან წვეული გუნდები მონაწილეობდნენ და რაოდენ სასიხარულოა, რომ მათი რიცხვი თანდათანობით იზრდება და, რაც მთავარია, იხვეწება და ფართოვდება მათი რეპერტუარი.** სწორედ ეს მისია დაისახეს მიზნად სრულიად საქართველოს ფესტივალის „ქართული საგალობლების“ მოთავეებმა. საგალობელთა მოძიების, აღდგენისა და დამკვიდრების კეთილშობილურ და საშვილიშვილო საქმეში მოთავეებს – ჭიათურა-საჩხერის ეპარქიას, საჩხერის მუნიციპალიტეტს თანადგომა გამოუცხადეს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა და საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ (ფესტივალის იდეის ავტორი გახლავთ ლია ვეშაპიძეძ.

ორი წინამორბედი ფესტივალის წარმატებამ განსაზღვრა მისი ტრადიციულობა: ტრადიციადქცეული ზეიმი ხელს უწყობს ქართული კულტურის მემკვიდრეობის აღდგენასა და დამკვიდრებას. ქართული საგალობელი სრულიად გამოხატავს ერის ხასიათს, ღირსებასა და წინაპრების პატივისცემას, დამოკიდებულებას ქართული მართლმადიდებლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისადმი.. ამჯერად საჩხერემ მესამე ფესტივალს უმასპინძლა. წინა ორის მსგავსად წლევანდელ ფესტივალსაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევის მადლი ფარავდა. კონკრეტულად კი იგი მიეძღვნა მისი უწმინდესობის აღსაყდრების 30 წლისთავს.



როგორც მეუფე დანიელი ამბობს: „ქართული საგალობლების ფესტივალი ძალზემნიშვნელოვანია ქართველი ერისათვის, ქართული ეკლესიისათვის, რამეთუ ეს პროცესი – ქართული გალობა, თითქმის შეწყვეტილი იყო წინა საუკუნეებში და, შეიძლება ითქვას, ტრადიციები იკარგებოდა. მცირე იყო კოლექტივების, საგალობლების, რეგენტების რაოდენობა. ღარიბდებოდა საშემსრულებლო რეპერტუარი, მაგრამ მიუხედავად ამ სიძნელეებისა, რაც საქართველომ წლების მანძილზე გამოიარა, ის მაინც ცოცხლობს, ინარჩუნებს თავის სახეს. ქართველი კაცი უბრუნდება ეკლესიას, ძირძველ ტრადიციებს, რაც ერის გამთლიანებისა და ნათელი მომავლის უტყუარი ნიშანია“.

წლეულს ფესტივალს ადგილობრივი კულტურის ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად უძღვებოდა რუსთაველის თეატრის მსახიობი მარინა ჯანაშია.

საკონცერტო საღამოების გარდა ქართული გალობის მნიშვნელობის საკითხებზე ლექციასემინარები გამართეს საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრის თანამშრომელმა, ანჩისხატის ტაძრის გუნდის რეგენტმა, თბილისის კონსერვატორიის ფოლკლორის პედაგოგმა მალხაზ ერქვანიძემ, ცნობილმა ეთნომუსიკოლოგებმა: ქეთევან მათიაშვილმა, კობა ბერიაშვილმა, ნანა ვალიშვილმა და თეა კასაბურმა.

**ორ საფესტივალო დღეს გალობდა ლამის მთელი საქართველო, 40-ზე მეტი ქალაქისა და რაიონის 56 მგალობელთა გუნდი. მრავალგზის ისმოდა მრავალხმიანი გალობის შედევრები: „შემოქმედისა“, „გელათური“, „მარტვილური“, „კარბელაანთ კილო“... ყველა მონაწილეს საჩუქრად გადაეცა ქართული გალობის ცენტრის მიერ გამოცემული კრებულები თავისი კომპაქტ-დისკებითურთ.**

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

⊙ ერთი საღამოს ეშხი

# უკრავდა გიტარა!..

**თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზი!.. მცირე დარბაზიო, ვამბობთ, თორემ ამ სცენაზე არა ერთი უდიდესი მუსიკოსი მდგარა!..**

...ჟღერს კლასიკური გიტარა და ასე გგონია, დარბაზიდან ქუჩას, მერე ქალაქს, მერე მთელ სამყაროს ეფინებაო უნაზესი აკორდები: სკარლატის სონეტები, ჯულიანის დიდი პოპური, მასის ქრომატული ფუგა, მენატელის სუიტა...

...ძმები, ნიკა და დავით კვარაცხელიები უკრავენ!

„დროა იმედის, დროა მუსიკის!..“ ამ შეძახილს ამოჰყვნენ ნიკა და დათო, ჯერ კიდევ ათი წლის წინათ და უკვე ფრთებგაშლილებმა თამამად შეაბიჯეს ევროპისა და მსოფლიოს მუსიკალურ სამყაროში. საქართველოში კი, ეს-ეს არის „იდგამენ“ ფეხს და ფართოდ აღებენ დარაბის კარებს, რომ მათი სათაყვანებელი სამშობლოს სმენამდე მისწვდეს ის სილამაზე, რომელსაც ევროპა უკვე კარგა ხანია უსმენს!

ჯერ კიდევ 1998 წელს, ჰამბურგის მუსიკისა და თეატრის უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი კლაუს ჰემპელი, როცა ნიკა და დავით კვარაცხელიების დუეტს ახასიათებდა, წერდა: „1996 წელს ჩვენს წინაშე წარსდგნენ ძმები ნიკოლას და დავით კვარაცხელიები, როგორც გიტარის დუეტი. მათში მე აღმოვაჩინე დიდი ინსტრუმენტალური ნიჭი და არაჩვეულებრივი კამერულ-მუსიკალური სენტივიტეტთან შერწყმული ძლიერი მუსიკალური მონაცემები; მე დამრჩა შთაბეჭდილება უდიდესი ნიჭიერებისა, განსაკუთრებით სერიოზული, მუყაითი შრომით გამოხატული და მომავალში ძალიან დიდი იმედისმომცემი პერსპექტივებისა. იმავე წელს ნიკა და დავითის უშუალო ხელმძღვანელი, ფრანკფურტის მუსიკალური უმაღლესი სასწავლებლის გიტარაზე დაკვრის ხელოვნების პროფესორი, მიხაელ ტაირეხტი კი, წერდა: – „დიდი ჰომოგენიტეტი და შთამბეჭდავი მუსიკალური ექსპრესიულობა, რომელიც ახასიათებს დუეტს, ჩვენ გვაძლევს იმედის საფუძველს, რომ მათ წინაშეა ბრწყინვალე სახელოვნებო კარიერა!“

1999 წელს გაზეთ „ოფერბახპოსტი“ თავის ერთ-ერთ სტატიაში აღფრთოვანებული აღნიშნავდა: – **„საკონცერტო საღამოზე იოანეს ტაძარში მოწვეულნი იყვნენ ფრიად საპატიო სტუმრები. აქ სრულდებოდა ნაწარმოებები ორი გიტარისათვის. ქალაქში ამავე საღამოს ბევრი სხვადასხვა ღონისძიება ტარდებოდა, მაგრამ ამის მიუხედავად მრავალრიცხოვანმა მსმენელმა არჩია დამტკბარიყო იმ მუსიკით, რომელსაც ქართველი ძმები, დავით და ნიკა კვარაცხელიები ასრულებდნენ... ამ დუეტის ყველაზე დიდი ღირსება ერთმანეთთან ჰარმონიული შერწყმაა... ამ ორ ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსს დიდი წვლილი შეაქვს ოფენბახის კულტურულ ცხოვრებაში, ისინი, არა მხოლოდ არაჩვეულებრივ შესრულებას, არამედ განსაცვიფრებელ ინტერპრეტაციას გვთავაზობენ...“**

...წლებს მისდევდა წლები, აღფრთოვანებულ სტრიქონებს სტრიქონები და ასე იწყებოდა მათი მუსიკალური ბიოგრაფია!

გერმანელი ჟურნალისტები და მუსიკის ცნობილი სპეციალისტები ერთმანეთს ასწრებდნენ ძმები კვარაცხელიების წარმატებებისა და ბიოგრაფიის დეტალების გამოქვეყნებას.

**„კულჰაიმის კულტურის ცენტრის მიერ მოწყობილმა ნიკო და დავით კვარაცხელიების კონცერტმა „ახალგაზრდა მუსიკოსთა ფორუმი“ გაახარა, როგორც მუსიკათმცოდნეები, ასევე მუსიკის თაყვანისმცემლები...“**

**„_დავით და ნიკოლოზ კვარაცხელიების მიერ ინტერპრეტირებული ნაწარმოებები სრულქმნილი საკონცერტო პიესად იქცა...“**

მათდამი მიძღვნილი სტატიების აღფრთოვანებული სათაურები თვითონ ამბობენ სათქმელს: „ბრწყინვალე პრემიერა ერთობლივ სამუსიკო კონცერტზე“! „გიტარის ჰარმონია“! „სასიამოვნო შთაბეჭდილებები უჩვეულო კონცერტზე“! „კონცერტი ორი გიტარისა და ფლეიტისათვის“. და ა. შ.

...მსოფლიოს მოედო ძმები კვარაცხელიების სახელი და აჟღერებული გიტარა, მოიარა ავსტრალია, აზია ამერიკა და ბოლოს, როგორც იქნა, მშობლიურ საქართველოშიც ჩამობრძანდა: „ვირტუოზი ძმები“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ძ; „ნიდერლანდები და საქართველო ერთი მუსიკის რიტმის ქვეშ“ (გაზ. „ეპოქა“ძ; „გიტარით გადებული ხიდი“ („გაზ. „ეპოქა“ძ...

...ჩამობრძანდნენ არა მხოლოდ უბრალოდ, ვირტუოზული მუსიკოსების სახელით, არამედ უკვე, მუსიკის დოქტორის ოფიციალური ხარისხითა და აღიარებული პედაგოგების იმიჯით! მათი ხელდადებით თბილისში უკვე გაიღო გიტარის საერთაშორისო აკადემიის კარი. დაიწყო მასტერკლასები, ლექციები, კონცერტები... სწორედ ამ პროგრამის ნაწილი იყო ეს კონცერტი, რომლითაც აკადემიამ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას დაარსებიდან 90-ე წლისთავი მიულოცა იმ დღეს!

**...უკრავდა გიტარა და გული სიამაყით მევსებოდა, რადგან მასზე ჩვენი ჯილაგი იღებდა აკორდებს!**

**ზაურ ფიფია**



⊙ ინფორმაცია

## პარლამენტარის ძმამ ბავშვი მოკლა და... დააწინაურეს

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრი„ შს სამინისტროს თანამშრომლის ნოდარ აბულაშვილის სამსახურებრივ დაწინაურებას აპროტესტებს.**

როგორც ორგანიზაციიდან იტყობინებიან, აბულაშვილს სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბეში მცხოვრები ვაჟა ბალაშვილი 19 წლის შვილის, ზვიად ბალაშვილის მკვლელობაში ადანაშაულებს.

– როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, აბულაშვილი, დასჯის ნაცვლად, დააწინაურეს. სიღნაღის პოლიციის ყოფილი თანამშრომელი ამჟამად შსს-ს გენერალურ ინსპექციაში მუშაობს, – განაცხადეს ორგანიზაციაში.

მათივე ინფორმაციით, ნოდარ აბულაშვილი საქართველოს პარლამენტის წევრის ნუგზარ აბულაშვილის ძმაა.

მკვლელობა კი სიღნაღის რაიონის დაბა წნორში რამდენიმე წლის წინათ მოხდა. მკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, ნოდარ აბულაშვილს ბრალიც წაუყენეს, მაგრამ იგი დღემდე არ დასჯილა.

**ინტერპრესნიუსი**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87;
899 32-85-76.
კოსტავას 12

● მხატვრობასთან ერთად პოეზიასაც უპირველესი ადგილი უჭირავს დიმიტრი მელაშვილის ცხოვრებაში





◎ ხელოვანი

# ნახატებიც რომ დაიწვა, არავის გახსენებია...



**...სინანულით ამბობს ბოლნისელი მხატვარი და პოეტი დიმიტრი გელაშვილი. მის სახლში გაჩენილმა ხანძარმა თითქმის მთლიანად გაანადგურა ყველაფერი, ავეჯითა და ძვირფასეულობით დაწყებული, მხატვრული ტილოებით დამთავრებული.** ცეცხლმა შთანთქა მისი სულიერი სამყაროს ულამაზესი ხედები, დღეს რომ მხოლოდ მოგონებას შემოუნახავს. მიუხედავად ამისა, ნახატები, რომლებიც ხანძარს გადაურჩა, სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ამ უნიჭიერეს მხატვარზე საკუთარი წარმოდგენა გაგვიჩნდეთ.

დიმიტრი გელაშვილის შემოქმედებაში უმთავრესი ადგილი დედაშვილობის თემას ეთმობა და ეს არც არის გასაკვირი. თავად ხარაგაულის რაიონში, სოფელ ნადაბურში დაიბადა. დედამისი კი ნიგოზეთელი ბარათაშვილის ქალი იყო. ერთხელ თორმეტი წლისა სიმინდის საყიდლად დედას გაჰყვა ჭიათურის სოფლებში. იყიდეს კიდეც სიმინდი, ურემიც დატვირთეს და უკან გამობრუნდნენ. გზაში ყვავათავას მთა უნდა გადაევლოთ. სწორედ იქ უწია სიკვდილმა დედამისს.



ამან წარუშლელი კვალი დატოვა მოზარდის ცნობიერებაში. ფუნჯის პირველი მოსმისთანავე დედაშვილობის თემა მისთვის უმთავრესი გახდა. საერთოდ, როგორც ყველა მხატვარს, მასაც ქალისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. ქალი მისთვის მხოლოდ სიცოცხლის წყარო კი არა, სამყაროს ფერთა განმსაზღვრელიცაა. სამყაროს ყველა ფერი და თვისება ქალშია თავმოყრილიო, ამბობს მხატვარი. ყველაზე მეტად მეუღლე, კლარა ფაცურია უყვარს, რომელსაც ასეთი ლექსი მიუძღვნა.

**მაშინ, როცა შენ**
**პირველად გნახე,**
**სევდის ფიქრი დამეკარგა**
**ყველა,**
**უცხო გრძნობამ დამაშორა**
**მიწას,**
**ცას გავეკარ, როგორც**
**ცისარტყელა.**
**შეუმჩნევლად გიყურებდი**
**მაშინ,**
**გულში ტრფობის**
**სიმღერები ჟღერდა,**
**ის შეხვედრა უკვდავია**
**ჩემთვის,**
**ჩემო კარგო, მას ყოველთვის**
**ვხედავ...**

მხატვრობასთან ერთად პოეზიასაც უპირველესი ადგილი უჭირავს დიმიტრი მელაშვილის ცხოვრებაში. ის ემიგრანტ პოეტებთანაც მეგობრობს. განსაკუთრებული ძმობა აკავშირებს ენგურ გურასაშვილთან, რომელიც ამჟამად კიევში ცხოვრობს და იქიდან წერს დიმიტრის:

**სხვას ვერაფერს დაგპირდები,**
**გულით გაუხუნარით,**
**უცხოეთში მასპინძელი,**
**სამშობლოში სტუმარი.**

დიმიტრის ერთადერთი ვაჟიშვილი ივერიც ხატავს, მაგრამ მისდასამწუხაროდ, მხატვრობას მაინც არ გაჰყვა.

ბოლნისელ ხელოვანს 10 აგვისტოს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

მიუხედავად ასაკისა, ჯერ კიდევ მხნედ არის.

დიდი და მოუსვენარი ბავშვიაო, — გაგვანდო საიდუმლო მისმა მეუღლემ ქალბატონმა კლარამ. მხატვრის ბავშვური სულის სისპეტაკე პოეტმა ჯულიეტა მილდიანმაც აღნიშნა დიმიტრისადმი მიძღვნილ ლექსში:

**...და სული შენი**
**ფეხდაუდგმელ**
**მთასავით წმინდა,**
**რაღაც ზექართულ**
**სახმილით რომ**
**იწვის, ანათებს,**
**გადარჩენილი ტაძრისათვის**
**მიდარებია,**
**ერთგვარი სევდით**
**რომ გაჰყურებს**
**ქართლის სანახებს...**

ასეთია თავისი ბუნებით დიმიტრი გელაშვილი და ასე ფეხდაუდგმელ მთასავით წმინდა შემოქმედებას უტოვებს შთამომავლობას.

**ელგუჯა გრიგალაშვილი,**
**ბოლნისი.**

ხსოვნა

# ჯემალ პაჭკორია



ქართულმა ეკონომიკურმა მეცნიერებამ, მთლიანად ქართულმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა — მოულოდნელად გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და დიდებული პიროვნება, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი ჯემალ პაჭკორია.

ჯემალ პაჭკორია მრავალი ორიგინალური ნაშრომის ავტორია ეკონომიკურ თეორიაში. მისი ყველა მონოგრაფია თუ სტატია გამოირჩევა კვლევის სიღრმით, ორიგინალურობით, ფილოსოფიური აზროვნებითა და „პაჭკორიასეული“ წერის მანერით. მას არ იზიდავდა გაცვეთილ თემებზე მუშაობა. იგი მუდამ ახალ და რთულ პრობლემებს ეხებოდა და ღრმა კვალსაც ტოვებდა არაორდინალური მეცნიერული დასკვნებით.

ჯემალ პაჭკორიას სამოღვაწეო სფეროთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია პედაგოგიურ საქმიანობას, რასაც ის განსაკუთრებული პასუხისმგებლობითა და სიფაქიზით ეკიდებოდა. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა მრავალი სადიპლომო, სამაგისტრო, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

ჯემალ პაჭკორია იყო შესანიშნავი კალმოსანი, რითაც, როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრი, აქტიურად უწყობდა ხელს ჟურნალ „სოციალური ეკონომიკის“ წარმატებულ მუშაობას.

ჯემალ პაჭკორია იყო სამშობლოს პატრიოტი, მისი ყველა კუთხის აღორძინებით დაინტერესებული. სწორედ ამ მიზნით გადადგა მან ზევრისათვის გაუგებარი ნაბიჯი — თსუ-დან გადავიდა ქ. ზუგდიდში თავისივე მონაწილეობით ახლადჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ უნივერსიტეტში. გადასვლის მიზანი იყო — ახალი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის გაძლიერებით ახალ საქართველოში სამეგრელოს, როგორც საქართველოს ძირძველი მხარის, აღორძინებისათვის ხელის შეწყობა. ამ მიმართულებითაც უდავოდ მისაბაძი და დასაფასებელია მისი მოღვაწეობა.

ჯემალ პაჭკორია იყო უმწიკვლო, უაღრესად კაცთმოყვარე, ალალი. თავმდაბალი, მეგობრების, ნათესავებისა და ოჯახისათვის თავდადებული პიროვნება. რომ არა უეცარი გარდაცვალება, მას კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის ხორცშესხმა ჰქონდა განზრახული.

ჯემალ პაჭკორიას ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრების, მოწაფეებისა და ახლობლების გულში.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი;
ეკონომიკის პრინციპების კათედრა;
ჟურნალ „სოციალური ეკონომიკის“ რედაქცია.

"Ernst & Young Legal" LLC announces the commencement of its liquidation process. All interested parties should contact Pavle Orjonikidze at the following address: 44 Leselidze St. bldg.II, floor IV, Tbilisi, Georgia, 0105; Tel. 439374, Fax: 439376, E-mail: Pavle.Orjonikidze@ge.ey.com

შპს „ერნსტ ენდ იანგ ლიგალი“ აცხადებს, რომ დაიწყო კომპანიის სალიკვიდაციო პროცესი. ყველა დაინტერესებულ მხარეს, გთხოვთ, დაუკავშირდეთ პავლე ორჯონიკიძეს შემდეგ მისამართზე: ლესელიძის ქ. 44, II შენობა, IV სართული, თბილისი, საქართველო, 0105, ტელ: 439374, ფაქსი 439376, ელფოსტა: Pavle.Orjonikidze@ge.ey.com

ხსოვნა

# მურმან ხარაბაძე



გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი ბატონი მურმან ხარაბაძე, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა რთული პროფესიის სრულყოფას, რათა მისთვის ჩვეული გულითადობით და მაღალი პასუხისმგებლობით დახმარებოდა ათასობით პაციენტს, დაწყებული 1949 წლიდან დღემდე, სიცოცხლის ბოლო წუთამდე. თითქმის 60 წელიწადი, მან მთლიანად მოახმარა ქალთა ჯანმრთელობის დაცვის დიდ ეროვნულ საქმეს. 1961 წლიდან 1982 წლამდე ის გახლდათ ქ. თბილისის მე-3 სამშობიარო სახლის დირექტორი, გამოქვეყნებული აქვს 35 სამეცნიერო შრომა, რომლებიც ეძღვნება ქალთა სხვადასხვა დაავადების პრობლემური საკითხების გადაწყვეტას.

ბატონი მურმანი იყო არა მარტო ბრწყინვალე ექიმი, ის გახლდათ ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, გულითადი მეგობარი, კარგი ოჯახის შვილი და შესანიშნავი ოჯახის პატრონი, კარგი მეუღლე, მამა, ბაბუა და შვილთაშვილების პატრონი.

ექიმთა დიდ საზოგადოებასთან და დიდ სამეგობროსა და ნათესავებთან ერთად, ჩვენ, მისი მეგობრები გულისტკივილით ვუთანაგრძნობთ მის ოჯახს. ღმერთო ნათელში გვიმყოფე ჩვენი მურმანის სული.

მისი მეგობრები: ლევან მახვილაძე, მიხეილ ქუთათელაძე, ბიძინა მოისწრაფიშვილი,გელა რევაზიშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე, ალექსანდრე ფაილოძე, დურმიშხან მაღალაშვილი, აკაკი ბუდაღაშვილი, ზაალ გენძეხაძე, გურამ ჭანტურია, ბორის მაისურაძე, თეიმურაზ ბიწაძე, ფრიდონ ლოლაძე.

რევაზ გოგოხია ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი, გამოჩენილი მეცნიერი, დიდებული პიროვნება, პროფესორი

ჯემალ პაჭკორია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჰამლეტ გრიგოლაია, ჯამლეტ ჯანჯღავა, გოჩა თუთბერიძე, ლაშა მიქაია, ვასილ ნარინდოშვილი, იუზა წოწერია, ბესიკ ცაავა, გურამ ოთხოზორია, ბადრი დარასელია, თემურ ფიფია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უახლოესი მეგობარი, გამოჩენილი მეცნიერი, უკეთილშობილესი პიროვნება, პროფესორი

ჯემალ პაჭკორია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ნაზი ნიშნიანიძე, რამაზ, თეიმურაზ ხუროძეები ოჯახებით, ეთერ ტყეშელაშვილი, თინა ხუროძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

მაყვალა გიორგის ასულ ხუროძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ,7, 8 X, 17 სთ. დაკრძალვა 9 X, 15 სთ. მისამართი: ლ. გოთუას ქ.№16.



შალვა (დავითძ ქორიძის სახელობის (სსძ სამშობიარო სახლის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ჯანდაცვის ერთ-ერთი საუკეთესო ორგანიზატორი

მურმან ხარაბაძე.

თანამშრომლებს გამოაკლდა ღირსეული კოლეგა, თბილი და ყურადღებიანი ადამიანი, რომელმაც მთელი ცხოვრების განვლილი გზით დიდი სიტყვა თქვა ქართულ მეანგინეკოლოგიაში. სხვისი სიცოცხლის დამბადებელმა და გადამრჩენმა საკუთარი შეუმჩნევლად დატოვა.

სამშობიარო სახლის თანამშრომლები უდიდეს გულისტკივილს გამოხატავენ და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

● 1989 წლის 9 ოქტომბერს დასაბამი დაედო კიდევ ერთ ქართულ საკალენდრო მოსახსენებელს – ივერიის ღვთისმშობლის ხატის საქართველოში ჩამობრძანებას



№ 194. სამშაბათი, 9 ოქტომბერი, 2007 წელი.

◉ სულიერება

# გვფარავდეს ივერიის ღვთისმშობლის ხატი



**9 ოქტომბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესია ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის ათონიდან საქართველოში ჩამობრძანებას დღესასწაულობს.**

ცნობილია, რომ 1989 წლის 9 ოქტომბერს ათონის ივერთა მონასტრიდან თბილისში ჩამოაბრძანეს ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის – „პორტაიტის“ (კარიბჭისძ ასლი, რომელიც წმიდა, ათონის მთის ბერებმა შეასრულეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევითა და ქართველი ერისადმი სიყვარულისა და მადლიერების გამოსახატავად.

...მთელი საქართველო ზეიმობდა ღვინობისთვის ამ დღეს. ქართველი ერის იმდროინდელ გაჭირვებაში ივერიის მფარველი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ჩამობრძანება ყველამ ზეციურ კურთხევად აღიქვა და ეს დღე საქართველოს ეკლესიის ისტორიაში შევიდა, როგორც დღესასწაული.

1989 წლის 9 ოქტომბერს დასაბამი დაედო კიდევ ერთ ქართულ საკალენდრო მოსახსენებელს – ივერიის ღვთისმშობლის ხატის საქართველოში ჩამობრძანებას.

ივერიის ღვთისმშობლის ხატი თბილისის სიონის ტაძარში ასვენია.

საზეიმო წირვა-ლოცვა საქართველოს ყველა მოქმედ ეკლესიაში ჩატარდება.

**გიული ლიპარტია**

◉ ჩვენებურებზე

# ზურაბ წერეთელს კვლავ მიახტნენ

**„გამოსკოველებული“ ქართველი მოქანდაკის ნაწარმოებთა დემონტაჟისათვის თითქმის 100 ათასი რუბლი (6 ათასამდე ლარიძ შეწირულობები შეაგროვა ორ კვირაში რუსეთის დედაქალაქის აქტუალური ხელოვნების მუზეუმმა.**

– ამდენის აკრეფას თვითონაც არ მოველოდით, – აღიარებს ჰენრი იასასი, მუზეუმის დირექტორი. – ხალხს მოსწყინდა ხელისუფლების მიერ ერთი სკულპტორისათვის ბოძებული მონოპოლია მონუმენტურ ხელოვნებაზე.

პირდაპირ გალერეაში შესასვლელის წინ თანამშრომლებმა დადგეს მომცრო გამჭვირვალე ყუთი წარწერით: „სახსრების შეგროვება იმ ძეგლების ასაღებად, რომლებიც ყველგან წამოჭიმა ზურაბ წერეთელმა“. აქციის ორგანიზატორებს, რასაკვირველია, ესმით, წერეთლის ნაწარმოებთა მოშორების ნებას რომ არ დართავენ.

– გაპროტესტება ნებისმიერ შემთხვევაშია საჭირო, – ირწმუნება ჰენრი იასასი. – განა მოსკოვში ან რუსეთში სხვა სკულპტურები არ არის, წერეთლის გაკეთებულთა გარდა? შეგროვებული ფულით გვინდოდა დედაქალაქში რომელიმე ახალგაზრდა ნიჭიერი ავტორის ნაწარმოების აღმართვა... წერეთლის პეტრე დიდი, თუ გახსოვთ, ისე დადგეს, არავისათვის არ უკითხავთ. სათუოა, რომ მოსკოველები მასზე ქალაქის ბიუჯეტიდან მილიონობით დოლარის ხარჯვას დათანხმებოდნენ.

„Собеседник“

◉ ინფორმაცია

# ზარანდია არევაძემ შეცვალა

**ქარელის რაიონს ახალი გამგებელი ჰყავს. რამდენიმე კვირის წინათ დაპატიმრებული გია ზარანრდია, ბოლნისის ყოფილმა გამგებელმა გიორგი არევაძემ შეცვალა.**

**ქარელის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს ახლად დანიშნული გამგებელი შიდა ქართლის გუბერნატორმა ლადო გეგელაშვილმა გუშინ წარუდგინა.**

**გეგელაშვილის განცხადებით, არევაძე რაიონში დაპირებებითა და ცარიელი ხელებით არ ჩასულა. მან ქარელში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ჩაიყვანა.**

**ინტერპრესნიუსი**

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“ კოსტავას 12

98-65-87; 899 32-85-76.

◉ გვემრავლოს!

# თევდორე წმიდა თევდორეს დღეს დაიბადა



**დედოფლისწყაროელმა ია ყაჭაშვილმა თავისი ბედი ამ თოთხმეტი წლის წინათ ბათუმელ გოჩა გორგილაძეს დაუკავშირა.** სიყვარულით შექმნილი ოჯახი ორ შვილს – ქალ-ვაჟს – ალექსანდრასა და დაჩის ზრდის, ამ დღეებში კი მათ მესამე შვილი – თევდორე წმიდა თევდორეს დღეს შეეძინათ. ამ სასიხარულო ამბავით გაიხარეს დედოფლისწყაროში შპს „გვანცას“ თანამშრომლებმა, სადაც ია ყაჭაშვილის დედა მიმოზა ყაჭაშვილი მუშაობს.

შნს „გვანცას“ დირექტორი მარინა გოგილაშვილი და თანამშრომლები ქალბატონ მიმოზას შვილიშვილის, ხოლო ია ყაჭაშვილსა და გოჩა გორგილაძეს მესამე შვილის დაბადებას ულოცავენ.

ეს ინფორმაცია დედოფლისწყაროდან გვაცნობა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა ნანა ჭიჭინაძემ.

**ნათელა ფაილოძე**

◉ ანეკდოტები

– ეს მეფოკუსე ნამდვილ სასწაულებს ახდენს! ერთი ნახე, რამდენი ბოცვერი ამოიყვანა ცილინდრიდან!



– ეგ სულაც არ არის სასწაული. მან უბრალოდ ცილინდრში ჩასვა ორი ბოცვერი და ვიაგრა აჭამა.

* * *

აფთიაქში მიხო გამყიდველ ქალიშვილს ეკითხება:

– XXXXX ზომის პრეზერვატივი გაქვთ?

– ვაიმე, – წამოიძახებს გამყიდველი, – მანდ რატომ დგახართ, აქეთ შემობრძანდით!

* * *

რატომ არიან იაპონელები ასეთი გონიერი ერი?

– იმიტომ, რომ ქერათმიანი ქალები არ ჰყავთ.

* * *

თუკი უფროსთან კამათში ჭეშმარიტება არ იშვა, მაშასადამე ის სულელია. ხოლო თუ წარმოიშვა, მაშინ სულელი აღმოჩნდება ხელქვეითი.

* * *

ვინ არიან სემიტები და ანტისემიტები?

სემიტები არიან ისინი, ვინც არყის ყიდვა შვიდ საათამდე მოასწრო.

ანტისემიტები კი ისინი არიან, ვინც შვიდ საათამდე არყის ყიდვა ვერ მოასწრო და ახლა გაჰყვირის, რომ ყველაფერი სემიტების ბრალია.

* * *

ფულს შეუძლია ნებისმიერი პრობლემის გადაჭრა, გარდა იმისა, თუ სად უნდა იშოვნო ის.

* * *

ორ-სამ ათეულ წელიწადში თანამედროვე მამაკაცები აღარ იქნებიან.

ქვეყანა ჩინური ნაყალბევით აივსება...

* * *

1992 წელს ჰონკონგელ მოხალისეებს ანგინის საწინააღმდეგო ექსპერიმენტული პრეპარატი დაურიგეს. ექსპერიმენტის მიმდინარეობისას პრეპარატს ერთობ საინტერესო მომყოლი ეფექტი აღმოაჩნდა. „ჯანდაბას წაუღია ანგინა!“ – ერთხმად თქვეს მოხალისეებმა და პრეპარატის დამატება მოითხოვეს. ასე გაიგო მსოფლიომ ვიაგრას ამბავი.

* * *

ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ: უფასო მედიცინა სახიფათოა თქვენი ჯანმრთელობისთვის!

◉ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები
(კოსტავას ქ. № 12. ტ: 98-65-87; 899 53-76-16)
შპს „თანადგომა -1“ (დავით აღმაშენებლის 150. 899 79-76-79)
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.